# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 26 ივლისი   1997 №86 (451)   ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი სხვა კლასის გუნდია



ოთხშაბათს ბელფასტში. ანჩაბაძე გალაგენს იოლად ატყუებს. ფოტო The Sun

*უთქვამს „კრუზეიდერსის“ მწვრთნელს როი უოქერს.*

მოლოდეჩნოში ჩვენი შესაძლებლობები სანახევროდ თუ გამოვავლინეთ — თქვა გიორგი დარასელიამ.

იხილეთ მეორე გვერდი

# კოპალეიშვილს მხოლოდ გამარჯვება მოაქვს

როგორც იქნა, მოჯადოებული წრე გაირღვა — სანაკრებო დონეზე საქართველომ პირველად მიაღწია წარმატებას: პორტუგალიაში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე ვახტანგ კოპალეიშვილის 17 წლამდელმა აღზრდილებმა გვასახელეს.

დავიწყოთ იქიდან, რომ პორტუგალიაში ჩვენი ნაკრების წევრები მოწამლულები ჩასულან — მოსკოვში უხარისხო პროდუქტი მიურთმევიათ და მთლად ჯანზე ვერ ყოფილან. ეს ნოდარ ახალკაცისგან შევიტყვეთ. მასპინძელ პორტუგალიასთან კი არათუ შეუძლოდ მყოფი, არამედ ჯანმრთელი სტუმრის გამარჯვებაც კი საეჭვო იყო. ჩვენებს მაინც უცოჩალიათ — ნორვეგიელი ქალბატონის მიკერძოებული მსაჯობის მიუხედავად, 3:2 უმარჯვიათ ჯაკობიას, დევიძისა და გველესიანის გოლების წყალობით. სტანდარტელმა ჯაკობიამ მეორე შეხვედრაშიც გამოიჩინა თავი. სწორედ მისი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებთან შეხვედრაში. ლიტველი მსაჯის არაკეთილსინდისიერებამ და მის მიერ დილმელაშვილის უმიზეზოდ გაგდებამ ჩვენს ბიჭებზე არ იმოქმედა — მათ ღირსეულად დაასრულეს საქმე და ფინალშიც გავიდნენ.

ლიტველებს ჩვენებურთათვის ბრძოლა გაუმართავთ. საგოლე მომენტი ორივე ნაკრებს ჰქონია. მსაჯმა ლიტველთა მოთამაშე გააძევა. მეორე ტაიმში ჩვენებს, ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ვერ უხეირიათ. თამაშის ძირითადი დრო ფრედ — 0:0 დასრულებულა. პენალტების სერიაში თსუ-ს მეკარე ზურაბ ბათიაშვილს მეტად უყოჩაღია და 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანელთა მეკარე შუმახერის დარად, რომელსაც შტილიკეს გაფუჭებული პენალტის გამოსწორება მოუხდა, ნაკრები გადაურჩენია — მეორე დარტყმა კორღალიძემ ვერ გამოიყენა. პენალტები ზუსტად დაარტყეს გაგუამ, კაკაშვილმა, ჯაკობიამ, ხუროძემ, დევიძემ და გველესიანმა. სიხარულიც ულევი ყოფილა...

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ვახტანგ კოპალეიშვილის გაწვრთნილ არცერთ ნაკრებს არ წაუგია — ერთი შეხვედრაც კი! კვლავაც ასე გაეგრძელებინოს...

**მერაბ მამულაშვილი**

# რონალდო — ინტერის №10

„ინტერის“ რონალდოთი გაგიჟებაზე იმდენი დაიწერა, რომ ახლა ბრაზილიელის ტრანსფერთან დაკავშირებულ ამბებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ და მხოლოდ მისი მილანში ჩასვლის შემდგომ ამბებზე ვიტყვით ორიოდ სიტყვას: ცხადია, ექს-ბარსელონელს ტიფოზები ყოველი ფეხის ნაბიჯზე დასდევდნენ, ამიტომაც რონალდო აეროპორტში შეწუხებული ჩანდა, მაგრამ მის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე მეგობარ ქალ სუზანა ვერნერთან ერთად უკვე ჩინებულ ხასიათზე იყო. მოგვიანებით საქმე ნომრის არჩევაზე რომ მიდგა, რონალდო „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის შეთავაზებულ მეათე ნომერს დაყაბულდა. თავიდან 9 სურდა, მაგრამ რომ გაიგო, ეგ სამორანოსიაო, ხმა აღარ ამოუღია. ისე თქვა, რა მაქვს გულდასაწყვეტი, ამ ნომრით განა პელე და ზიკო არ თამაშობდნენო? პრეზიდენტის სიტყვებს — ხომ იცი, „ინტერი“ დიდ იმედებს ამყარებს შენზე და ჩემპიონობა უნდა მოგვაპოვებინოო, რონალდო ღიმილით შეხვდა.



REUTERS მილანიდან

ბიჭმა საწადელს მიაღწია

წვეულებისა და ცეკვა-მოლხენის შემდეგ რონალდომ „ინტერის“ შტაბ-ბინაში გადაინაცვლა და იტალიაში თავისი პირველი პრესკონფერენცია გამართა. უმთავრესად ადრე ნათქვამი გაიმეორა. მერე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, კაპელოს „მილანში“ ჩასვლაზე რა აზრის ხართო და რონალდომაც ხალისიანად დაიწყო: „მიხარია, იგი იტალიაში რომ დაბრუნდა. ფაბიოს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მწვრთნელად ვთვლი, იგი ბრწყინვალე ტაქტიკოსია. ესპანეთში თამაშისას წარმოუდგენელ სიამოვნებას მგვრიდა მის „რეალთან“ პაექრობა და განსაკუთრებით გამარჯვება. იმედია, „მილანთან“ თამაშის დროსაც იგივე განცდა მექნება. მის გუნდთან სათამაშოდ გაორმაგებული ძალით გავდივარ მინდორზე.“ ბოლოს კი მოხდა ის, რასაც, ალბათ, ერთი წელი ელოდა „ბარსელონას“ თავკაცობა — რონალდომ მათ პირველად გადაუხადა მადლობა: „მინდა, ყველა ბარსელონელს მადლობა ვუთხრა. დაუვიწყარი სეზონი გავატარე. ჩემპიონატი ვერ მოვიგეთ, მაგრამ სამი სხვა თასი მოვიპოვეთ, რაც, ცხადია, ურიგო არ არის. ვფიქრობ, ჩემს კარიერაში ეს გარდატეხის წელი იყო, რაც მთლიანად „ბარსას“ დამსახურებაა.“

რონალდოს „ინტერში“ თამაშის შესაძლებლობა ხვალვე მიეცემა მილანში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. მეტოქენი განმეორებით შეხვედრას ოთხშაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ გამართავენ და სწორედ ორ მატჩში გამარჯვებული მოიგებს იტალიელთა სპონსორის, საბურავების მწარმოებელი ცნობილი ფირმა „პირელის“ წელს დაწესებულ გარდამავალ თასს.

**ლაშა გოდუაძე**

# ორი კლუბი უმწვრთნელოდ დაგვირჩა



[illegible] ფოტო

„ბურძგლა“ თავად წავიდა

22 ივლისს ქართულ რაგბს თავს დიდი უბედურება დაატყდა — ისედაც ხალხნაკლულმა სამყარომ ერთბაშად ორი პიროვნება მოისაკლისა და ვინიცობაა მესამეც თამაშგარეთ დაურჩეს.

„ქორები“ — „აიას“ მატჩამდე გამართულ მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ეროვნული გუნდისა და „გუმარის“ მწვრთნელ გურამ მოდებაძეს გამოუცხადებია, რომ კლუბს თავს ანებებს. მერე რაგბის კარგი თამაში მორიგი აყალმაყალით დასრულდა. წინა „სარბიელში“ ვწერდით, მსაჯი დავით კილასონია მაგრად დაუდგა თბილისელთა მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილსო, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, მწვრთნელს მსაჯი სტადიონის სანახებში მაინც მოუკითხავს და გაულახავს, მოდებაძე კი კილასონიას გამოსარჩლებია და ბენდიაშვილისთვის დაურტყამს.

სტადიონზე მისული ხუთასიოდე მაყურებლიდან ამ ამბების შემსწრე ალბათ სულ რამდენიმეა. რაგბის საძმომ ყველაფერი ჭორად იცის. ვერსიები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ინციდენტის დეტალების გარკვევა რაგბის კავშირის წესრიგის კომიტეტში



„ბენდოს“ ალბათ დაითხოვენ

იყო მოსალოდნელი, მაგრამ რაკი ყველა წევრის შეკრება ვერ მოხერხდა, გუშინდელი სხდომა გადაიდო.

ინციდენტის მონაწილეები რაგბის კავშირის ოფისში აღარ გამოჩენილან. რაკი ჭაბუკობიდან მეგობრები არიან და ბარემ ათი წელი ერთად უთამაშიათ „ლოკომოტივში“, ალბათ საერთო ენას თავად გამონახავენ. ერთი კი ამთავითვეა სათქმელი, რომ ის, რაც 25 წლის ჯეელებს მოთამაშეობის ჟამს კიდევ ეპატიებოდათ, 50 წელს მიტანებულ სპეციალისტებს ველარ უხდებათ. საქმე სავალალოდ რომ არ იყოს, ჭეშმარიტად საქილიკო იქნებოდა.

„ბურძგლა“ „გუმარიდან“ რომ წავიდოდა, ბოლო ხანს თვალნათლივ ჩანდა. ქრონიკულ უსახსრობას ის დაემატა, რომ მწვრთნელი მსაჯობითაც ერთთავად უკმაყოფილო რჩებოდა, რის გამოც კავშირის ბოლო გაფრთხილება დაიმსახურა.

ჰოდა, კაცმა ეტყობა დროით იგრძნო ხიფათი, თავს ჩაუღრმავდა და სადაც არა ჯობდა, იქ გაცლა არჩია. ახლა „ბორჯღალოსნებს“ უფრო გულდამშვიდებული მიხედავს. რაც შეეხება „გუმარს“, მას გამოცდილი მოთამაშეები არ აკლია, ნაკრების კაპიტანი დიმა ობოლაძე კლუბის კაპიტანიცაა, ბიჭები კი ერთობ ენდობიან ფიზმომზადების მწვრთნელ ნელი გრიგალაშვილს, ვინაც სამოას გუნდის მასაჟისტი ქალბატონისა არ იყოს, „გუმარის“ მოთამაშეთა ძიძად თუ ვერა, უფროს დად კი ნამდვილად ქცეულა.

„ბენდოც“ მსაჯებს გადაეკიდა და თუ თავიდან მხოლოდ კორუფციას აბრალებდა, ბოლო ხანს სულ ქალაქური ტერმინებით დაუწყო საჯაროდ შემკობა. მას კოლეგაზე ადრე დაემსახურებინა ბოლო გაფრთხილება, მაგრამ „აიასთან“ თამაშისას ნერვები მაინც ვერ მოთოკა და ძმაკაცს შემოწყრა.

ბენდიაშვილი კილასონიას მატჩის შემდეგ რომ არც წაკიდებოდა, გინებისათვის უეჭველ სამუდამო დისკვალიფიკაციას მაინც მიიღებდა — რაგბის კავშირი ამ ბოლო ხანს ხომ არავის არაფერს პატიობს, რაც ბოლოს ალბათ კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

„გუმარი“ პირველ ეტაპს ოთხშაბათს მორჩა — წააგო ერთ-ერთ ლიდერ „აზოტთან“, ვინაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, სოლიდური და ძლიერი გუნდი ჩანს და თამაშს შერკინების სიძლიერეს აფუძნებს. აკი რუსთაველებმა შარშანდელ ჩემპიონებს სამივე ლელო ახლოდან, შერკინებით მიძალების შემდეგ გაუტანეს.

„ქორებს“ გასამართი კიდევ ორი თამაში რჩებათ. გამოცდილი მოთამაშეები არც მათ აკლიათ. გუნდს უთუოდ ბენდიაშვილის თანაშემწე დათო ჩავლეიშვილი უხელმძღვანელებს.

**ზაზა ფხაკაძე**

ცხრილები და უცხოეთის რაგბი
იხილეთ ბოლო გვერდზე

# Dynamic Tbilisi too good for Crusaders

# В ПУТЬ ЗА ЗОЛОТЫМ РУНОМ

Сергей НОВИКОВ
Александр СТАДУБ (фото)
из Молодечно

Издевательство над телеболельщиками, которое

Кубок УЕФА.
1-й квалификационный раунд.
"ДИНАМО" (Минск, Беларусь) — "КОЛХЕТИ-1913" (Поти, Грузия) — 1:0



# თბილისური დინამიკა

# გზად ოქროს საწმისისთვის

**ქვემოთ გთავაზობთ ჩრდილოირლანდიურ, ინგლისურ და ბელარუსულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, სადაც იქაურ ჟურნალისტთა თვალითაა დანახული თბილისის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ მიერ „კრუზეიდერსისა“ და მინსკის „დინამოს“ წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრები. სტატიები ჩაურევლადაა ნათარგმნი და ამდენად მათში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომებიც ორიგინალთა კუთვნილებაა.**

## კრუზეიდერსისთვის ნამეტანი აღმოჩნდა

საცოდავ „სივიუზე“ წუხელ სტივენ ბაქსტერმა გასაოცარი რამ ჩაიდინა, კინაღამ „კრუზეიდერსი“ დააწინაურა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ამით მიძინებული თბილისის „დინამო“ მხოლოდ გაუღვიძებია.

სიმართლე რომ ვთქვათ, „კრუზეიდერსი“ წლეულს ჩემპიონთა თასს ვერ მოიპოვებს. თუ დანიძლავდებით, რომ ამ ჯილდოს იგი ვერც ვერასოდეს მოიგებს, ალბათ არ წააგებთ. გუშინ ირლანდიური კლუბის მორიგი ევროლაშქრობის დასასრულის დასაწყისი შედგა.

თავის მხრივ, თბილისიც მხოლოდ წინასწარი ეტაპის წყვილადს თუ დასძლევს, მაგრამ ირლანდიური სამოყვარულო ფეხბურთის ვარსკვლავებთან ისინი ჩემპიონთა ლიგის ბრწყინვალებასთან მიახლოებულ გუნდად ჩანდნენ.

ბაქსტერმა სტუმართა დაცვას გვარიანი თავსატეხი გაუჩინა და თავის გვიან გოლსაც იმსახურებდა, ოღონდ ეს გოლი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლადღა თუ ივარგებდა. მოთაურე თავდამსხმელმა საქართველოს ნაკრების მეკარის, ირაკლი ზოიძის ყველა სისუსტე ამხილა. ბაქსტერმა ზოიძეს მე-13 წუთზე დიდებულად მოგერიებაც აიძულა, როდესაც არეული შეტევის ბოლოს მეკარე მარყუჟისებურად დარტყმულ თაურს თითის წვერებით შეწვდა.

32-ე წუთამდე მასპინძლები თავს კარგად იცავდნენ და თბილისელებს მხოლოდ გრძელპასიან შეტევათა საშუალებას უტოვებდნენ. თბილისელთა მეორე გოლის ავტორმა დავით მუჯირმა კი 25-ე წუთზე დააშავა, როდესაც მის წინ მარტო დარჩენილი მეკარის დემიენ გრანტის ძლევაღა ჰქონდა დარჩენილი, საქართველოს ნაკრების დაბნეულმა წევრმა კი მარცხენა ძელის მხარეს ფრიად ააცილა.

დემიენ გრანტმა როი უოქერის გუნდში წუხელ სანაქებოდ ითამაშა. მართალია, თბილისელთა მეორე გოლი მისმა სისულელემ გამოიწვია, მაგრამ გრანტმა მაინც ჩაიდინა ბევრი გმირობა და შინაურ პირველობაზე გუნდის ძირითადი მეკარის ადგილი დაიბევა.

ირლანდიურ ლიგაში „კრუზეიდერსი“ კვლავ ძნელად დასამარცხებელი გუნდი იქნება. წუხელ მის თამაშში პერიოდულად ჩანდა კლასი, რომელმაც ბოლო სეზონში ერთწლიანი შესვენების შემდეგ ლიგის ტიტული „სივიუზე“ დააბრუნებინა.

თბილისელთა სათამაშო გეგმას მცირე არევა მაშინ დაემუქრა (თუ საერთოდ დაემუქრა), გიორგი კიკნაძემ 31-ე წუთზე გოლი რომ გაიტანა. ამ ეპიზოდმა გონებაში კარელ პობორსკის მიერ ევრო 96-ზე, პორტუგალიელებთან შესრულებული გაბედული სვლა ამოატივტივა. კარიდან 30 მეტრში კიკნაძემ რამდენიმე წითელმაისურიანს შემოურბინა, საჯარიმოში შესულმა შესაფერის მომენტს ჩაავლო, გრანტი მეკარის ხაზიდან „მოჰრა“ და დელიკატურად დაარტყა.

ჩაის დრომდე (შესვენებამდე — „სარბიელი“) 1:0 დარჩა, თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში კი ანგარიში გაორმაგდა. დაცვის გამპობი პასების შემდეგ კახა გოგიჩაიშვილმა ერთი შეხედვით იოლად მოსაგერიებელი ბურთი დაარტყა გრანტისგან შორეულ მხარეს. მეკარემ ბურთზე დაწოლა დააგვიანა და თვალიდა მოჰკრა, რა ამაოდ ცდილობდა პოლ დუაიერი მისთვის გზის ჩახერგვას. შემდეგ მუჯირმა თავისი ადრეული მარცხი გამოასწორა და 65-ე წუთზე მესამე შეაგდო. წვიმისგან გალუმპული ათასი ადამიანის ყველაზე ხმამაღალი შეძახილი 71-ე წუთზე ბაქსტერის დამსახურებულ დასასრულს მოჰყვა.

**ალექს საკრივი**
The Irish Times, 24 ივლისი

THE Sun

„კრუზეიდერსი“ თბილისის „დინამომ“ გაანადგურა. „სივიუზე“, თავსხმაში გამართული მათი შეხვედრა ჩემპიონთა თასის წინასწარი ეტაპისა იყო. ერთი კვირის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში სრულიად ფორმალური შეხვედრა გაიმართება.

თბილისელებს „კრუზებმა“ ორიოდ პრობლემა შეუქმნეს, თუმცა სტივენ ბაქსტერმა 71-ე წუთზე ღირსების გოლი მაინც გაუტანა. მან გლენ ჰანტერის მიერ მარჯვნიდან საუცხოოდ ჩაკიდებული ბურთი მძლავრი თაურით შეაგდო კარში. საქართველოს ზედიზედ შვიდგზის ჩემპიონი „დინამო“ მუდმივად აკონტროლებდა სიტუაციას. მისი წამოწყებები გამჭოლი იყო, ფლობდა სივრცეს ფლანგებზე, სადაც ალექსანდრე იაშვილი უამრავ პრობლემას ქმნიდა. მართალია, თბილისელებს თამაშთან შესაგუებლად დრო დასჭირდათ, მაგრამ როგორც კი რიტმს და ბალანსს მიაგნეს, ეჭვქვეშ აღარაფერი დაუტოვებიათ.

გიორგი კიკნაძის საუცხოოდ შექმნილი და დასრულებული მომენტით „დინამომ“ ანგარიში გახსნა. კიკნაძე ოთხ მცველში გაიჭრა და საჯარიმოს კიდიდან კარის ხაზიდან გამოსულ მეკარეს დემიენ გრანტს ბურთი გადაატარა. ეს მომენტის დამთავრების კლასიკური ნიმუში დახლდათ.

თბილისელებმა უამრავი მომენტი შექმნეს. პირველ ტაიმში მეტი გოლი რომ არ გავიდა, „კრუზების“ იღბალი იყო, მაგრამ დეფიციტი 50-ე წუთზე გაორმაგდა. დიდებულმა გამთამაშებელმა დავით მუჯირმა კახი გოგიჩაიშვილი მოძებნა, მან კი გვარიანი კუთხიდან ბურთი ბადეში გაგზავნა. მცველი პოლ დუაიერი ამაოდ ცდილობდა მის სწორი გზიდან გადაგდებას.

შემდეგ გრანტმა ანჩაბაძეს ბრწყინვალედ აუღო. ანჩაბაძის 35 მეტრიდან დარტყმული ისე ჩანდა, მეკარის მიღმა კარში შედიოდა, მაგრამ გრანტმა ხელი გაიშვირა და ბურთი ხარიხას ასხლეტინა. მაგრამ თბილისმა 65-ე წუთზე ისევ დაარტყა. მუჯირმა ახლიდან შეაგდო.

„კრუზების“ შეფი როი უოქერი თბილისელთა თამაშით მოხიბლული იყო. მან თქვა:

— მე ნეიტრალური კაცი რომ ვყოფილიყავი, ვისიამოვნებდი მეტოქის პასებისა და ბურთის ფლობის ცქერით. მე დღეს ძალიან კარგი გუნდი ვნახე. ისინი ესტონეთში გავლილი ორკვირიანი შეკრებიდან ჩამოვიდნენ და მშვენივრად მომზადებულნი ჩანდნენ. მიუხედავად ამისა, ჩემი ფეხბურთელების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. სტივენ ბაქსტერმა ერთი შეაგდო, მაგრამ ალბათ სამის გატანა შეეძლო. და მაინც, მოდი რეალისტები ვიყოთ — თბილისი სხვა კლასის გუნდია.

**სტივ სმიტი**
The Sun, 24 ივლისი

**კრუზეიდერსი 1:3 დინამო**

**კრუზეიდერსი:** გრანტი, დარანი (დიგანი 66), მაკკარტნი (მორგანი 79), დანლოპი, ლოულორი, მელანი, დუაიერი (მაკმალანი 55), ობრაიანი, გალაგენი, ბაქსტერი, ჰანტერი
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, დიდავა, მაქავარიანი, ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი (ალექაიძე 90), კიკნაძე, ცქიტიშვილი, მუჯირი (ხომერიკი 90), იაშვილი (ყიზილაშვილი 79), ანჩაბაძე
0:1 კიკნაძე (31), 0:2 გოგიჩაიშვილი (50), 0:3 მუჯირი (65), 1:3 ბაქსტერი (71)

ტელექომაგთა აბუჩად აგდება, ბელარუსის ტელევიზიამ მატჩის ტრანსლაციის შუალამემდე გადაწევით რომ მოაწყო, ორმაგი გამოდგა. ჩვენეს მხოლოდ მეორე, პირველის ფონზე დამთრგუნველად უსახური ტაიმი. შედეგად, ვისაც არ დაუძინია, ბევრად საწინააღმდეგო წარმოდგენა შეექმნა.

მატჩს სახალისო ორგპრელუდია უსწრებდა. ევროთასების დებიუტანტმა ფოთელებმა ბოლომდე ვერ გაითავისეს უეშმაკო მატჩისწინა რიტუალები. მათი წარმომადგენელი ოქმის შესავსებად მოთამაშეთა პასპორტების გარეშე გამოცხადდა და შემოიფარგლა მხოლოდ გუნდის სიით... ისიც ქართულ ენაზე. გაკვირვებული ინსპექტორის დაჟინებით საჭირო გახდა შიკრიკის სასტუმროში გაგზავნა. მადლობა ღმერთს, ფოთელები მინსკში კი არა, შორიახლოს, ადგილობრივ „კონტინენტალში“ გაჩერდნენ. ამ დროს კი ჩვენს ქვეყანაში საქართველოს ელჩმა ანატოლი ბაიდაჩნიზე დიპლომატიური იერიში მიიტანა, თამაშის წინ ეროვნული ჰიმნები შეასრულონო. „დინამოს“ თავკაცი ქედუხრელი გახლდათ. ევროთასების რეგლამენტი ასეთ პროცედურას არ ითვალისწინებს და მოთელების შემდეგ ხუთწუთიანი იძულებითი დგომა უაზრობა იქნებოდა, რამეთუ დინამოელთა გეგმა საწყის მონაკვეთში ლაკონური იყო: სისწრაფე და ზეწოლა. შედეგად, ორგანიზატორებმაც ნამეტანი მოინდომეს, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს და არც, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი, ფიფას ჰიმნი დაუკრეს.

ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული იყო. მეტოქის კუნთების ათწუთიანი დაზვერვის შემდეგ მინსკელებმა გოლით დავეირგვინებულ ბლიცკრიგს მიმართეს. იგი მეთერთმეტე წუთზე სახიფათო შეტევით დაიწყო (დოვნარმა ფაქიზი ნახევარშეხებით საჯარიმოში შექმნილ დერეფანში ტარლოვსკი გაიყვანა, მან კი, კარს რომ მიუახლოვდა, წაქცეულ მეკარე მამუკა გვასალიას პირდაპირ ფეხში გაარტყა) და წუთის შემდეგ საჯარიმოს ხაზიდან ჩერნიავსკის დაბალი დარტყმით გაგრძელდა. დასრულდა კი გოლით „დინამოსთვის“ სავსებით იღბლიან მეცამეტე წუთზე. დოვნარმა პირითი ხაზისკენ გაქცეული ბურთი გადაარჩინა, ვლადიმირ მაკოვსკის დაუთმო, მან კი თვალის დაუხამხამებლად ოდნავ უკან ჩერნიავსკის მარჯვენა ფეხზე გაუსწორა, რომელმაც შორეულ, დაბალ კუთხეში გაიტანა — 1:0!

სხვას რას ისურვებდა ბაიდაჩნი, რომელმაც სწრაფი გოლი წარმატების (3-4 ბურთიანი სხვაობით მოგება) განუყოფელ ნაწილად ჩათვალა?! მითუმეტეს, რომ მეტოქის პირველი სისხლის დანახვით გაუმაძღარი გუნდიც მოწინააღმდეგის დანაკუწებას მისსავე ნახევარზე აგრძელებდა. ამასთანავე, ძალიან იოლად მოინახა კოლხთა დაცვის სუსტი წერტილი: ფრთა, სადაც განუყოფლად ბატონობდა ჩერნიავსკი-ტარლოვსკის ალიანსი და ფეხმარდი წყვილი. ტექნიკური ოქმის მეტყველ ციფრებს შესვენებამდე სტუმართა კართან შექმნილ საგოლე-სახიფათო მომენტთა მარტივ ქრონოლოგიასაც დავურთავთ.

25-ე წუთი: ცენტრალურ ზონაში ვლადიმირ მაკოვსკისა და პოდრეზის მიერ გათამაშებული კომბინაცია საჯარიმოს წინ დოვნარის მისამართით გაჭრილი მწვავე პასით დასრულდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ოდნავ იჩქარა და თამაშგარეში შეირბინა.

28-ე წუთი: პოდრეზი მეტოქეს პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებს: საჯარიმოს დიდებულად ასრულებს და კართან დოვნარი გაჰყავს, რომლის დარტყმაც მახვილი კუთხიდან შორეულ ძელს სანტიმეტრებში ჩაუვლის.

32-ე წუთი: ჟურაველი კუთხურს აწვდის ლუხვიჩის მიმართულებით, რომელიც კარის ცარიელ კუთხეში ურტყამს, მაგრამ ზედ კარის ხაზზე მიწიდან სოკოსავით მცველი გიორგაძე ამოდის.

37-ე წუთი: ჟურაველის შორეულ დარტყმას გვასალია ცხვირწინ იგერიებს. პოდრეზი ბურთს მცველებს უთმობს და დამატებით დარტყმას წამით აგვიანებს.

40-ე წუთი: ტარლოვსკი საჯარიმოს ხაზიდან კარს აცილებს.

45-ე წუთი: მრავალსვლიანი კომბინაცია ბურთის ფლანგიდან ფლანგზე არაერთგზის გადატანით პოდრეზის მისამართით მთავრდება, რომელიც კარის წინა ზონიდან თავით ხარიხას უხახუნებს.

სურათის შესავსებად უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრებმა (თავით — ფანჩულიძემ) მხოლოდ შესვენებამდე ორი წუთით ადრე გაგზავნეს ბურთი ევნევიჩის კარში, მაგრამ მან იოლად მოიგერია.

ანტრაქტი პუბლიკამ გამაგრილებელ წერტებთან გაატარა უზრუნველი დევიზით — „ტო ლი ეშო ბუდეტ!“ ამ „ტო ლი“-ში ბელარუსთა უკეთესი ფუნქციონალური მომზადება იგულისხმებოდა, რომელიც მატჩის ბოლოსთვის უნდა შევსებულიყო საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

არადა, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა აკლებულ მარჯვენა ფრთაზე „კოლხეთის“ ნახევარ საათში განხორციელებულ შეცვლას. ეს კი მიანიშნებდა, რომ სტუმართა თავკაცი სოსო ფილია არ ფორიაქობდა — სიტუაციის რეალურად შეფასებაც შეეძლო და უსიხარულო მდგომარეობის გამოსასწორებლად რისკის გაწევაც.

მეორე ტაიმის დასაწყისი „დინამომ“ საუკეთესო სადებიუტო ტრადიციისამებრ გალია. 49-ე წუთზე დოვნარმა ორი მეტოქე მინდვრის შუაგულიდან კარის მისადგომებამდე ათრია, იქ შემობრუნებით მხრებიდან ჩამოიბერტყა და ვლადიმირ მაკოვსკის დასარტყმელად გაუსწორა, მან კი... ზეცაში გატყორცნა. ვინ იცოდა, რომ დინამოელები ასე სულელურად გაფლანგავდნენ ამ მატჩში ბოლო საგოლე შანსს?..

პირველი თხუთმეტწუთეულის გასრულებისას დაკვირვებულმა მზერამ მინსკელთა მოქმედებაში დაღმასვლის ყველა ნიშან-თვისება აღმოაჩინა: ბურთმა შეტევათა მოსამზადებელ სტადიაში კარგახანს შეჩერება იწყო, გაგრძელება კი ტრაფარეტული და წინასწარმეტყველებადი გახდა, თავდასხმიდან გაქრა მინდვრის სიღრმიდან საჯარიმოში სწრაფი შერბენები და ფლანგური ჩხვლეტები.

დინამოელთა თამაშის სულ რაღაც ნახევარტაქტით შენელება საკმარისი აღმოჩნდა, რომ სტუმრებს თავი დაეღწიათ პანიკურად მოგერიებისგან და მეტოქის საჯარიმოში შეხედვაც მოეხერხებინათ. ისინი საჯარიმომდე უფრო ხშირ-ხშირად აღწევდნენ. და რაც ყველაზე გასაკვირი იყო, ფინალური სასტვენის მოახლოების კვალდაკვალ ნათელი ხდებოდა ფოთელთა უპირატესობა სიხხარტეში. „დინამო“ წმინდა შინაგან უპირატესობასღა ფლობდა, მაშინ, როცა სულ უფრო და უფრო ხშირად იქმნებოდა საფრთხე ევნევიჩის საჯარიმოში. ყველაზე სახიფათო 69-ე წუთითაა დათარიღებული, როცა თადარიგიდან თამაშში შესანიშნავად შესულმა მონასელიძემ ფინტების სერიით ჟურაველს და შილოს თავბრუ დაასხა, საჯარიმოში შეიჭრა და იქ მცველთა შორის ჭყლეტვის იმიტაცია გააკეთა. პოლონელმა რეფერიმ პენალტის მომთხოვნ კავკასიურ თვალთა რისხვანი ვაჟკაცურად აიტანა (ალბათ, ფოთში თვალის დაუხამხამებლად ნიშნულზე მიუთითებდა).

ბოლო ხუთწუთეულმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს გუნდზე ზედმეტად კარგი წარმოდგენა გვქონია. „დინამო“ უბრალოდ დადგა და საკუთარ საჯარიმოში სამჯერ დაუშვა არეულობა. 85-ე წუთზე დარასელიამ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ფანჩულიძე და ევნევიჩმა მხოლოდ მეორე ცდაზე შეძლო მოფარფატე ბურთის დაჭერა. 87-ე წუთზე დარასელიამ იასკოვიჩს მოუგო ორთაბრძოლა საჯარიმოში და მის დაბალ ჩაწოდებაზე გაწელილმა გოროზიამ ოდნავ დააგვიანა. 91-ე (მსაჯის დამატებულ) წუთზე კი მინსკელები უკვე ქებაძემ გადაარჩინა, ვინც ხვადაგიანის მიერ გასროლილი ბურთის გზაზე ფეხის დატოვება მოახერხა.

პროგნოზებზე თავის გამოჩენა, როცა წინ კიდევ ფოთის მატჩია, უმადური საქმეა და არც მოულოდნელობანია გამორიცხული. ბოლოს და ბოლოს, მინსკელებმა პირველი მატჩი მოიგეს და ჯერ არაფერი წაუგიათ. მაგრამ... მოლოდეჩნოში გამართული მატჩის ხარვეზებსა და ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ ბოლო მატჩებისგან მოგერილ შთაბეჭდილებებს თუ შევადარებთ, ჩნდება ეჭვი: არის კი გუნდი მზად ორივე ტაიმში სრული ძალით სამოქმედოდ და შეუძლია თამაშის გამძაფრება?

თუმცა, საპასუხო შეხვედრაში ამგვარად თამაშმა მინსკელებს, საფიქრებელია, არც მოუწიოთ. ერთი რომ, ამის საშუალებას არ მისცემენ მეტოქეები, რომელთაც უცილებლად სჭირდებათ გატანა, თანაც, სულ მცირე, ორი ბურთისა. მეორეც: განა არ შეიძლება, ტაქტიკურ მარაგში ჯერ კიდევ ივან შჩოკინის დროს კარგად დამუშავებული დაცვაზე აქცენტირებული სათამაშო სქემის მოძიება? ხომ გვასწავლეს სკოლაში, რომ მზიურ კოლხეთში ნანატრი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად გამგზავრებულმა არგონავტებმა ოდენ გულადობა და ღონე კი არა, სიფრთხილე და ეშმაკობაც იახლეს.

ანატოლი ბაიდაჩნი: ჩვენი მეტოქე ცუდი მოედანი და პაპანაქებაც იყო. ძველმა სენმა — მომენტების გამოუყენებლობამაც იჩინა თავი... ვისურვებ, ფოთშიც დღევანდელივით ობიექტური მსაჯობა იყოს.

სოსო ფილია: მეტოქეზე ძალიან ცოტა რამ გვსმენოდა. ვიცოდით მხოლოდ ის, რომ „დინამო“ სწრაფ, ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობს. ამისთვის ვემზადებოდით კიდეც. ყურადღებას ვამახვილებდით მოთამაშეთა ფუნქციურ მომზადებაზე. შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ საპასუხო მატჩის წინ შანსები თანაბარია. „დინამო“ მომეწონა, კარგი გუნდია. პირველ ტაიმში მინსკელებს არ უმართლებდათ — მათ, სულ ცოტა, ორჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. ეს რომ მომხდარიყო, არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა მეორე ტაიმი. ისე, შეცვლებში გაგვიმართლა. ფლანგებზე თამაში გავააქტიურეთ, განსაკუთრებით მაკოვსკის წინააღმდეგ. სათამაშო დისციპლინაც დავალაგეთ. განსაკუთრებით ლიბერო ტორჩინავას გამოვყოფდი. მან სულ ახლახან დაიწყო ამ პოზიციაზე თამაში, ადრე მარცხენა ნახევარმცველი იყო. აი, ჩვენი ლიდერი დარასელია კი ბოლომდე ვერ გაიხსნა. ვიმედოვნებ, ფოთში ითამაშებს ჩვენი უძლიერესი ფორვარდი მეტრეველიც, რომელიც ახლა ტრავმას იშუშებს.

გიორგი დარასელია: ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს მიხდებოდა მინსკელებთან თამაში. ორი წლის წინ ენახე მათი მატჩი მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე. თქვენების თამაშის სტილი ვიცოდი, ამიტომ მოულოდნელი არაფერი ყოფილა. შედეგით არც ისე კმაყოფილი ვარ. შიშით ვთამაშობდით — ჩვენთვის ხომ ეს ამ რანგის პირველი მატჩი იყო. მოლოდეჩნოში ჩვენი შესაძლებლობები სანახევროდ თუ გამოვავლინეთ. შევეცდებით, ფოთში უკეთ ვითამაშოთ. ისე კი, გეტყვით — თბილისის „დინამო“ მინსკისაზე გაცილებით ძლიერია.

**სერგეი ნოვიკოვი**
ПРЕССБОЛ, 25 ივლისი

**დინამო 1:0 კოლხეთი**

**დინამო:** ევნევიჩი, იასკოვიჩი, ტარლოვსკი, ჟურაველი, ლუხვიჩი, შილო, ჩერნიავსკი, მ. მაკოვსკი (ვოლოდენკოვი 83), პოდრეზი (შაეროვი 62), ვ. მაკოვსკი, დოვნარი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქაბერიძე (ქებაძე 75), ტორჩინავა, გიორგაძე (გოროზია 34), ხვადაგიანი, კვეტენაძე (მონასელიძე 52), ფანჩულიძე, მახარაძე, გვასალია, დარასელია, ქობულაძე
1:0 ჩერნიავსკი (13)

# იყო და არა იყო რა...

ამ ლამაზი წყვილის სიყვარულის ამბავი თავად რომ არ შემეტყო, მეზღაპრის მონაყოლი მეგონებოდა. მსგავსი მხოლოდ ზღაპრებში წამიკითხავს, ანაც ფილმებში მინახავს. ყველაფერი თითქოს ღვთის ნებით მოხდა, თუმცა, რაღა თითქოს: გოგამ თამუნა ეკლესიაში გაიცნო, ერთ უმშვენიერეს დღეს — 1995 წლის 23 აპრილს, აღდგომას...


ვაჟა [illegible] ფოტო

თამუნა და გოგა ვაკეში დასეირნობენ

...მაშინ გოგა გახოკიძე, ჯერაც უცნობი ფეხბურთელი, „დინამო-2"-ში ირიცხებოდა, თამუნა რამიშვილი კი უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი იყო. ორივე დიდუბის ეკლესიაში დადიოდა, მამა პეტრეს სულიერი შვილები იყვნენ და კვლავაც არიან. ეგაა, რომ 23 აპრილამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. თამუნა იმ დღემდე გოგას ვერც იხსენებს, გოგას კი შორიდან მოსწონებია:

— თამუნა დანახვისთანავე მომეწონა და მაშინვე ვიფიქრე, ჩემი მეუღლე უნდა გახდეს-მეთქი. აღდგომას გავიცანი და მეგობრის დახმარებით მისი ტელეფონის ნომერიც გავიგე. ერთი თვე საშველი არ მივეცი, ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე და ეკლესიაში შევხვდით ერთმანეთს.

— ასე რომ, ჩვენი პირველი შეხვედრა ეკლესიაში შედგა — აგრძელებს თამუნა — უტელეფონოდაც მაშინ ვისაუბრეთ პირველად. უფრო სწორად, გოგა ლაპარაკობდა, მე კი ვუსმენდი. მორიდებული მეჩვენა, ყოველ შემთხვევაში, თამამი არ ყოფილა. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვი, ლაპარაკისას გაწითლდა-მეთქი — სიყვარული ამიხსნა, ისე გულახდილად, ისეთი სიტყვებით, არ შემეყვარებინა, არ შემეძლო. თანაც, თავიდანვე რომ მომეწონა, ამის გამო მისი ნათქვამი მსიამოვნებდა და გაჩუმებული ვუგდებდი ყურს. მერე და მერე სიმპათია სიყვარულში გადაიზარდა. გოგას ხასიათი მომწონდა, ყურადღებიანი იყო, რასაც ადამიანში ყველაზე მეტად ვაფასებ.

თამუნამ კი თქვა, სიყვარული ამიხსნაო, მაგრამ გოგა ამას სხვა სახელს არქმევს:

— მიყვარს ბუნებრივად მოქცევა და სათქმელის პირდაპირ თქმა. ან კი რა მქონდა დასამალი — მომეწონა და პირდაპირ ვუთხარი, შემიყვარდი და შენთან ერთად ოჯახის შექმნა მსურს, მინდა, მთელი ცხოვრება ერთად გავატაროთ-მეთქი. მანაც გამიგო და...

აქ ნაგულისხმევს სათავისოდ ყველა ისურვებდა — კაცს უყვარდა, მასაც იგივე გრძნობით უპასუხეს, მოწყალე თვალით შეხედეს და გულიც გაუხსნეს. ასე დაიწყო ეს ლამაზი ისტორია. მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია — თამუნას გაცნობიდან ორიოდ თვეში გოგა ფოთის გუნდში გადავიდა და შეყვარებულებიც ისე ხშირად როდი ნახულობდნენ ერთმანეთს. დარჩათ მხოლოდ ტელეფონი...

— დიდი ხნით გვიწევდა განშორება — იგონებს გოგა — თამაშები და შეკრებები ამას გვაიძულებდა. ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა, ტელეფონით ვსაუბრობდით.

— გოგა თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, მერე კი ფოთიდან ვლადიკავკაზში გადავიდა და ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდა. როცა თბილისში ჩამოსვლას ახერხებდა, მთელი დღე ერთად ვიყავით, შინ მისულები კი დილამდე კვლავ ტელეფონით ვლაპარაკობდით — ეცინება თამუნას.

გოგა ძლიერ განიცდიდა ყოველ დაშორებას:

— თამუნასგან შორს ყოფნა მეტად მიჭირდა, არადა, ორი წელი გაგრძელდა ასე. ამიტომ ნოემბრისთვის ჩაფიქრებული შეუღლება ცოტა ადრე გადავწყვიტეთ. ბევრისგან მსმენია, ფეხბურთელს ცოლის მოყვანა წინსვლაში ხელს შეუშლისო. ამის მეც მეშინოდა — ფეხბურთი ხომ ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მაგრამ პირიქით მოხდა — თამუნას თანადგომას მუდამ ვგრძნობ და ეს ძალიან მეხმარება.

...მოკლედ, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გოგამ და თამუნამ შეუღლება გადაწყვიტეს, 26 მარტს დაინიშნენ, 26 მაისს კი...

— გოგა არასდროს არაფერს მიმალავდა — იხსენებს ქალბატონი ლიდა, გოგას დედა — ვიცოდი, თამუნა რომ უყვარდა, შეუღლებას ნოემბერში, რუსეთში სეზონის დასრულების შემდეგ აპირებდნენ. ამიტომ გამიკვირდა, 26 მაისს შინ მოსულმა რომ მითხრა, დედა, საღამოს თამუნა სახლში უნდა მოვიყვანოო. მეგონა, ქორწილს გადაიხდიან და სამოგზაუროდ წავლენ-მეთქი. ასე ნაუცბათევად მათ შეუღლებას არ ველოდი. სახელდახელო სუფრა გავშალეთ, მას მხოლოდ ჩემი მეუღლე — ნუგზარი აკლდა. იმ დღეს ნაქეიფარი მოვიდა, მეორე ოთახში ტკბილად ეძინა და ეს ამბავი ვერც გაიგო. დილით გაიღვიძა და მკითხა — ლიდა, რას ხმაურობდი, რა ხდებოდაო.

...მართალია, თამუნა სპორტის გულშემატკივარ ოჯახში გაიზარდა და თავადაც უყვარდა ფეხბურთი, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, თუ სპორტსმენი მეუღლე ეყოლებოდა.

— რატომღაც მეგონა, ფეხბურთელებს ბურთისა და მოედნის გარდა საზრუნავსაფიქრალი არ ჰქონდათ და სხვა თემაზე ლაპარაკიც კი არ შეეძლოთ. თურმე, ვცდებოდი — გოგა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. მისი საფიქრალი მარტო ფეხბურთი არ არის, ბევრ სხვა რამეზეც შეუძლია საინტერესოდ საუბარი. თანაც, ჩვენ ღვთის რწმენა გვაერთიანებს. ეკლესიაში სიარულმა დაგვაახლოვა და ურთიერთგაგება გაგვიადვილა...

ახალშეუღლებულნი უკვე შვილებზე ოცნებობენ. ესაა, რომ თამუნას სამი შვილი სურს, გოგას კი — მხოლოდ ორი.

ისე, მოლაპარაკებაც შეიძლება, თამუნას აზრი მთლად ურიგო არ უნდა იყოსო — ეცინება გოგას.

ოჯახის თავი, ბატონი ნუგზარიც ბევრ შვილიშვილს ნატრობს. ფეხბურთის გუნდს თუ არა, კალათბურთელთა ხუთეულს კაცი არ უნდა დააკლდესო — აი, მისი ულტიმატუმი.

ნოემბრისთვის შეუღლებულები საქორწინო მოგზაურობას აპირებენ, მაგრამ სად, გოგა ჯერ არ ამბობს. სიურპრიზს მიმზადებსო — ამხელს თამუნა.

...და მე უმალ გავიხსენე — ფეხბურთში გოგას წინსვლა სწორედ 1995 წლიდან დაიწყო: „დინამო-2", „კოლხეთი", „ალანია" — თურმე, რა შეძლებია სიყვარულს. ჩემთვის გავიფიქრე, შვილები რომ ეყოლება, მერე რაღას იზამს-მეთქი. ღმერთმა ქნას, ასეც ყოფილიყოს.

...მოკლედ, როგორც ზღაპარშია — იყო და არა იყო რა, ამ სიყვარულზე უკეთესი რა იქნებოდა?

**მერაბ მამულაშვილი**

# ეროვნულზე რემონტი დაიწყო

ბოლო დროს ქალაქში ხმები დაირხა — ის იტალიელები, ეროვნულ სტადიონს გარემონტებას რომ უპირებდნენ, აღარ ჩანან და, ალბათ, აღარც ჩამოვლენო. თითქოს საქმეს მართლაც ასეთი პირი უჩანდა. ადრე ვწერდით, რომ „ფინეურო კონსალტინგი" ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებას ელოდა იმის შესახებ, ბოლოს და ბოლოს ვის ეკუთვნოდა სტადიონი. როგორც კი ეროვნულს პატრონი გამოუჩნდებოდა, იტალიელები ერთ კვირაში თბილისში ჩამოვიდოდნენ და სარემონტო სამუშაოებიც დაიწყებოდა. მერე პატრონი, უფრო სწორად მეპატრონეები, გამოჩნდნენ, მაგრამ ახლა უცხოელებმა გააჭიანურეს თბილისში ჩამოსვლა, არც არაფერი ისმოდა მათგან. მოკლედ, საშველი არ ჩანდა, მატჩი კი კარს მოგვადგა. და აი, მოულოდნელად გვესტუმრნენ „ფინეურო კონსალტინგის" პრეზიდენტი ჯორჯო მიზერენდინო და წარმომადგენლები. საქმის კეთებაც უხმაუროდ დაიწყეს და სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე სკამებიც აყარეს. ჯერჯერობით მხოლოდ ამას დაყაბულდებიან. 2 500 ინდივიდუალურ სკამს დაამონტაჟებენ, თავიანთ თანამემამულეებს საკადრისად რომ ვუმასპინძლოთ, მერე კი ეროვნულ სტადიონს მთლიანად გაგვირემონტებენ.

გუშინ სტადიონზე მისულმა ბატონი ჯორჯოსგან ინტერვიუს აღება გადავწყვიტე. თარჯიმანიც შევიგულე მისი მეუღლის სახით, მაგრამ მიზერენდინომ ტაქტიანად მომიბოდიშა, საქმეებზე გავრბივარ, ერთბაშად ათ ქარხნის დირექტორთან მაქვს დაგეგმილი შეხვედრა და დრო არ მაქვსო. თან დააყოლა: წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, რასაც ხმამაღლა ვაცხადებ, არაფერი მისრულდებაო. რაღა გაეწყობოდა, მომავალი კვირისთვის შევთანხმდით, იმ დროისთვის, როცა სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებული იქნება. იქამდე კი ის მაინც შევიტყვეთ, რომ წინასწარ 5 000 ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება გაუთვალისწინებიათ, მაგრამ ეს რაოდენობა განახევრებულა, რადგანაც სტადიონზე განათებაც გასაკეთებელია... გარდა ამისა, „სკუადრა აძურასთან" მატჩისთვის VIP-თა ლოჟაც მოეწყობა. სამუშაოებისთვის აუცილებელი ინვენტარი და უკვე დამზადებული სკამები კი დღეს დილით ინგლისელ კონსტრუქტორებთან ერთად ჩამოვა. თურმე ინგლისელები სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლასა და მაღაზიების განლაგებისთვის ხელსაყრელი ადგილების ძიებასაც შეუდგებიან.

ერთი სიტყვით, ეროვნულ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები დაიწყო. ხოლო რა, როგორ და როდის გაკეთდება, მოვლენები როგორ განვითარდება, ინფორმაციები ჩვენზე იყოს.

**კოკა ინასარიძე**


ჯორჯო მიზერენდინო


**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

უცხოურ ჩოგბურთზე, კალათბურთზე, კრივზე, მძლეოსნობაზე, ველოსპორტსა და თხილამურობაზე წერის მსურველებს.

მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად შეუძლია წერა, ერკვევა სპორტის ხსენებულ სახეობებში და რიგიანად იცის ინგლისური.

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს.

ოპერატორად ვიწვევთ კომპიუტერული — ღცუკენგშწზხჯ განლაგებით მბეჭდავ განათლებულ, ალღოიან, გაწაფულსა და ბეჯით ქალს. სპორტით დაინტერესება სასურველია, საზღვარგარეთის ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა კი სავალდებულო

**მსურველები შეგვეხმიანონ** კვირას, სამშაბათს ან ხუთშაბათს, **13-დან 17 საათამდე**


# ზვიადი ზუგდიდშია და პრეზიდენტს ელოდება

ზუსტად ერთმა წელმა განვლო, რაც მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის უპირველესმა გოლეადორმა (40) ზვიად ენდელაძემ უეფას თასზე ხელმოცარული ზესტაფონის „მარგვეთი" დატოვა და რუსეთის პირველი ლიგის ვლადივასტოკურ „ლუჩს" დაუკავშირა თავისი კარიერა. შორეულში ზვიადი ცუდად არ მოწყობილა. ყოველ შემთხვევაში, ბედით კმაყოფილი იყო. „ლუჩმაც" შარშან შემოდგომაზე მდგომარეობა გაიუმჯობესა და ლიგიდან გავარდნას ასცდა. წესითა და რიგით, ახალ სეზონში მას უკეთესისკენ უნდა დაეჭირა თვალი. ამასვე ელოდნენ ჩვენებურებიც, მაგრამ მოხდა პირიქით: ყველაფერი თავდაყირა დადგა. ქართველებს ზამთარშივე სურდათ „ლუჩის" დატოვება, მაგრამ ერთწლიანი კონტრაქტებით იყვნენ დაბმულნი. ახლა ეს ვადაც გაილია და ბიჭებმა ვლადივასტოკიდან გამოსწიეს.

**— მაინც რა იყო „ლუჩიდან" წამოსვლის მთავარი მიზეზი?**

— წლის ბოლოს შვებულებით სამშობლოში რომ დავბრუნდით, აქედან ვიგებდით გუნდის ამბებს. ჩემპიონატი ახლოვდებოდა და ვლადივასტოკიდან კარგი არაფერი ისმოდა. თვითონ ქალაქში, მის ხელმძღვანელობაში იყო არეულობა და აბა, ფეხბურთს ვიღა ჩიოდა. „ლუჩს" შეკრებაც კი არ გაუვლია, ისე ჩაერთო გათამაშებაში. ჩვენც მხოლოდ მესამე თამაშიდან შევუერთდით გუნდს. აქედან გამომდინარე, კარგ შედეგზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და წელს მაჩანჩალებში აღმოვჩნდით. ბევრი ვითმინეთ, მაგრამ საშველი არა და არ დაგვადგა. გუნდს ფინანსურად ძალიან გაუჭირდა. საკონტრაქტო ვადის გასვლისთანავე დათო ნოზაძესთან და ირაკლი გიორგობიანთან ერთად გუნდიდან წამოვედი.

**— კი წამოხვედით, მაგრამ თამაში ხომ გინდათ.**

— რამდენადაც ვიცი, დათო და ირაკლი ტომსკში გამგზავრებულან, თუ პირობები მოეწონათ, ალბათ, ფარჩხაძე კიდეც.

**— თავად რას აპირებ?**

— მეც მქონდა რამდენიმე მიწვევა იმავე ლიგის გუნდებიდან. საუკეთესო ვარიანტად ეკატერინბურგის „ურალმაში" მიმაჩნდა, მაგრამ ბევრი რომ ვიფიქრე, სამშობლოში დარჩენა ვამჯობინე. რა ვქნა, ქართველი ვარ და ოჯახის პატრონი — ნათესავებთან, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობა მიყვარს. რუსეთში ძალიან გამიჭირდა. მართლა რა ყოფაა, როცა ნახევარ დროს თვითმფრინავში ატარებ, ნორმალურად ძლივს ვარჯიშობ და ძლივს ისვენებ.

**— ეს გადაწყვეტილება საბოლოოა?**

— არსად წამსვლელი აღარა ვარ. ამაში რომ დავრწმუნდი, უმალ ჩემს ყოფილ გუნდს — „მარგვეთს" მივაშურე. მეორე მწვრთნელს, დავით ბებიაშვილს ვესაუბრე. ვუთხარი, ძალიან დიდი პრეტენზიები არა მაქვს, თუ მისაღები პირობები იქნა, ვითამაშებ-მეთქი.

**— რა პასუხი მიიღე?**

— ბებიაშვილმა მითხრა, გუნდის საქმე ცუდად არის, მაგრამ თუ რაიმე უკეთესობისკენ შეიცვალა, შეგატყობინებთო.

**— დიდხანს მოგიწევდა ლოდინი.**

— ჰო, ზესტაფონიდან არავინ შემხმიანებია, მერე კი ზუგდიდელებმა ჩამომაკითხეს, ჩვენთან გადმოდიო.

**— და დათანხმდი?**

— სამ კვირაზე მეტია, რაც ზუგდიდში ვვარჯიშობ. მურთაზ ხურცილავამ პირობები გამაცნო — სავსებით ნორმალურია. ყოველ შემთხვევაში, მე მაკმაყოფილებს.

**— კონტრაქტის გაფორმებაც ხომ არ მოგისწრია?**

— ჯერ არა. დეტალებია დასაზუსტებელი. „ოდიშის" პრეზიდენტის, ვახტანგ ნანავას ჩამოსვლას ველოდები, დღე-დღეზე უნდა გამოჩნდეს ზუგდიდში.

**იუზა ქაციტაძე ზუგდიდიდან**

# ოდიში ძალას იკრებს

**ოდიში 2:1 ტორპედო**

**ზუგდიდი. ახალსოფლის სტადიონი**
**ოდიში:** ქვაჩახია (გაბელია 70), ანჯაფარიძე, ახვლედიანი (ჯოჯუა 75), ჭედია, ზ. ლაცაბიძე, ებრალიძე, რევაზიშვილი (გუჩუა 46), კაიდარაშვილი (თოლორდავა 63), ივეჩიანი, კალანდაძე
**ტორპედო:** ასლანაძე, თურმანიძე, გეწაძე, ლომიძე, ი. ხუჯაძე, მაღლაკელიძე, ჩხეტიანი (ს. გიგიაძე 60), ჯინჭარაძე, ვ. გიგიაძე, შენგელია (შ. მუმლაძე 72), ვაჩიბერაძე
1:0 კალანდაძე (26), 2:0 გუჩუა (68), 2:1 ს. გიგიაძე (87)
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

მოსამზადებელ პერიოდში ეს გუნდები უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. 29 ივნისს ქუთაისში ვასო გიგიაძის გატანილი გოლით მასპინძლებმა იმარჯვეს. ზუგდიდიელებს იმ პირველ მატჩში მონაწილე ოთხი ფეხბურთელი დაუთხოვიათ და ახლებსაც ახლა ცდიან. ზუგდიდელთა ხელმძღვანელობა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია. ეს ფეხბურთელები კი სწორედ საკონტროლო შეხვედრებში უნდა შეირჩეს.

ახალსოფლის კოხტა ბაზაზე ჩატარებულმა თამაშმა ერთხელაც დაგვარწმუნა, რომ ზუგდიდელთა საბრძოლო შემადგენლობის კონტურები უკვე იკვეთება. გამოცდილი ჭედიას, ახვლედიანის, გუჩუას და კალანდაძის გვერდით საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურებიან ახალწვეული ანჯაფარიძე, ლაცაბიძე, ებრალიძე და რევაზიშვილი. გამორიცხული არც 3-4 ფეხბურთელის მშობლიურ გუნდში დაბრუნებაა. მოკლედ, უნდა დავიჯეროთ, რომ მურთაზ ხურცილავა შემადგენლობას დააბალანსებს და ჩემპიონატში „ოდიში" სოლიდურ ძალად მოგვევლინება.

ოთხშაბათის მატჩში მასპინძლები მეტო შემართებით, უფრო მიზანსწრაფულად ირჯებოდნენ. ტორპედოელებს დასაწყისში მართლაც გაუჭირდათ. თუმცა, პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მათ შექმნეს, როცა ჩხეტიანმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა ზუგდიდელთა საჯარიმოში, შენგელიამ დროულადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი ასცდა მიზანს. ამ ეპიზოდს ზუგდიდელთა სწრაფი შეტევები მოჰყვა. და აი, კალანდაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან დაბალ კუთხეში დაარტყა, ასლანაძე მოსაგერიებლად გადახტა, მაგრამ ბურთი ფეხქვეშ გაუძვრა. ქუთაისელთა ახალშეძენილი გოლკიპერი ერთხელაც შეცდა და ეს შეცდომაც გოლის ფასად დაუჯდა: ივეჩიანის საკმაოდ შორიდან ჩაწოდებულს რევაზიშვილმა თაურით უპასუხა, ასლანაძეც თითქოს ადგილზე დახვდა ბურთს, მაგრამ ვერ დაიმორჩილა, გუჩუამაც არ დააყოვნა, იქვე გაჩნდა და დანარჩენი უკვე იოლი საქმე იყო. საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე სერგო კვარაცხელიამ ზედმეტი ემოციურობის გამო ახვლედიანს დაატოვებინა მინდორი. ვფიქრობ, უპირატესობაში რომ დარჩენილიყვნენ, სტუმრები ერთი ბურთის გაქვითვას არ დასჯერდებოდნენ, მაგრამ არბიტრმა „გაწითლებული" ახვლედიანის ნაცვლად ჯოჯუას დართო თამაშის უფლება.

ისე, სოსო გიგიაძის გოლი მართლაც ლამაზი იყო — 35 მეტრიდან შევარდა ცხრიანში.

ჩემპიონატამდე ზუგდიდელები კიდევ სამი საკონტროლო მატჩის გამართვას აპირებენ — ლანჩხუთის „გურიასთან", ფოთის „კოლხეთთან" და 4 აგვისტოს ისევ „ტორპედოსთან".

**იუზა ქაციტაძე ზუგდიდიდან**


**სარეკლამო სააგენტო კოკი და კომპანია**

**რეკლამის დამზადება**

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

**კომპიუტერული მომსახურება**

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42 ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

CHAMPIONS LEAGUE

# თასთა ათასი ამბავი

## ევროთასების პირველი მატჩების მიმოხილვა

UEFA CUP

ოთხშაბათისთვის ბელგრადს ოხშივარი აუვიდა. არა, აქა ზაფხულის პაპანაქებას არ ვგულისხმობთ, აქ სხვა ხვატზეა საუბარი — სერბიაში ფეხბურთის სათამაშოდ ხორვატები ჩავიდნენ. აქამდე, დიდი იუგოსლავიის დარღვევის შემდეგ (მოგეხსენებათ, სერბიისა და ჩერნოგორიის გაერთიანებას დღესაც იუგოსლავია ჰქვია), ორი მტრადმოკიდებული ქვეყნის სპორტსმენები მხოლოდ ნეიტრალურ ადგილას თუ გადაეყრებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ასე მაგალითად, ერთი თვის წინ, კალათბურთელთა ევროპის პირველობაზე იუგოსლაველებმა ხორვატებს აჯობეს. ეს შეჯიბრება



სიონი — ქენეს ეში. შვეიცარიელი მარკო გრასი ორ სტუმარს შეჰიდებია

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მიმდინარეობდა, ბელგრადში კი გამარჯვებულ სერბთა ქომაგებმა ხორვატიის საელჩოს ქვები დააყარეს. სულ, ნეიტრალურ სარბიელზე, სერბულ-ხორვატული დუელი თექვსმეტჯერ გამართულა. ახლა კი, კენჭისყრამ ჩემპიონთა თასზე „პარტიზანი“ და „კროაცია“ დააპირისპირა ერთმანეთს. უეფამ, ყველას გასაკვირად, უენებელი ქვეყნებისა და ქალაქების ძიებაზე უარი განაცხადა და როგორც წესითა და რიგით უნდა ხდებოდეს, ბელგრადის მატჩი ბელგრადში დანიშნა, ზაგრებისა კი — ზაგრებში.

არავის ჰქონდა გარანტია, რომ ტრაგედიას თავიდან აიცილებდნენ. აბა, ჯერ ომი არ იყო დაწყებული, რომ 1990 წელს ბელგრადის მეორე გუნდის, „ცრვენა ზვეზდასა“ და ზაგრების „დინამოს“ შეხვედრა ათეულობით ადამიანის დაჭრა-დასახიჩრებაში გადაიზარდა. იმ თამაშის შემდეგ იუგოსლავიის ჩემპიონატი მალე ჩაიშალა და ბალკანეთიც სისხლის სახარშ დიდ ქვაბად გადაიქცა. და აი, 23 ივლისს იგივე ზაგრების „დინამო“, რომელსაც ახლა „კროაცია“ ჰქვია, ბელგრადს სათამაშოდ ჩავიდა.

იუგოსლავიურმა პოლიციამ 500 კაცი გამოჰყო სტადიონზე წესრიგის დასაცავად. „პარტიზანმა“ ყველა ფეხბურთელის სიცოცხლე დააზღვია, კლუბის გენერალურმა მდივანმა ზარკო ზეჩევიჩმა კი განაცხადა, რომ გულშემატკივრებს ჩამოართმევდნენ ყველაფერს, სიგარეტის ნამწვავებსა კი. მანქანების სადგომი სარბიელს 500 მეტრით მოაშორეს, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ, ერთმანეთთან სტუმრობისას გულშემატკივრებს არ იახლებდნენ.

...შეცვლაზე შესულმა დრაგან ისაილოვიჩმა 84-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო და მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა, მაგრამ „კროაციის“ მეკარის, დრაჟენ ლადიჩის ფეხებსშუა გამძვრალ ბურთზე მეტად, თამაშმა გაძლიერებული პოლიციური რეჟიმით დაამახსოვრა ხალხს თავი. თანაც, ეს მომენტი ფაქტობრივად ერთადერთი იყო, რომლის შექმნაც პარტიზანებმა მოახერხეს. „კროაცია“ პირიქით, მთელი შეხვედრის განმავლობაში ყოჩაღობდა, თუ ყოჩაღობა ითქმის, როცა გუნდი ოთხი ხელსაყრელი მომენტიდან ერთსაც ვერ გამოიყენებს. იყო ასეთი ეპიზოდი, მეორე ტაიმის დასაწყისში: ხორვატმა მარკ ვიდუკამ მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი გააჩერა, წინ ხელით გაიგდო და შემდეგ უძლიერესი დარტყმით ხარიხას გაარტყა. სერბთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 35 ათასმა მაყურებელმა ვიდუკას ეს პროვოკაცია გულთან ახლოს არ მიიტანა. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე კი მასპინძელთა მეკარემ ივიცა კრალიმ სილვიო მარიჩის დრიბლინგს მიყოლებული დარტყმა მოიგერია. მანამდე, რამდენიმე წუთის ადრე, „პარტიზანის“ მწვრთნელმა ლუბიშა ტუმბაკოვიჩმა შეტევა ორი ფეხბურთელით გააძლიერა, რომელთაგან ერთ-ერთი 21 წლის ამომავალი ვარსკვლავი და ამ მატჩის ერთადერთი გოლის ავტორი ისაილოვიჩი გახლდათ. საბოლოოდ, წაგების მიუხედავად, „კროციამ“ უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

— საგანგებოდ კარგ გუნდთან მოგვიხდა თამაში. ვერც კი დავიჯერებდით, რომ ასე კარგად თამაშობდნენ. მათ საქმე გაგვირთულეს — თქვა მატჩის შემდეგ „პარტიზანის“ ნახევარმცველმა დეიან ვუკიევიჩმა.

— უმთავრესი იყო, გოლი არ გაგვეშვა, ხოლო თუ გავიტანდით, კარგი იქნებოდა — ამოცანა ამოხსნილად ჩათვალა მწვრთნელმა ტუმბაკოვიჩმა. — იმედი მაქვს, რომ ზაგრებში „კროაცია“ შეგვიტევს და ამით საქმე გაგვიიოლდება.

მატჩის შემდეგ თავისი მორიგი სიტყვა ბელგრადის პოლიციამაც თქვა. მან საგანგებოდ და წარმატებით დაიცვა ხორვატიის საელჩო. არადა, გაძლება არ გინდოდა? ფეხბურთამდე, შუადღისას, წესრიგის მცველებმა ბელგრადის მოსახლეობასთან კიდევ ერთი ბრძოლა გადაიტანეს, თუმცა ამ ბრძოლის მიზეზი ფეხბურთსა და სპორტს არ ეხებოდა და ამიტომ მოკლედ ვიტყვით: ხალხს ქვეყნის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი არ უყვარს.

ზაგრებელთა თავკაცმა მირკო ნოვოსელმა კი სერბთა კეთილი მასპინძლობა გაიკვირვა, ხოლო ფეხბურთზე ასე თქვა: ჩვენ დღეს ვაჩვენეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს. ვფიქრობ, საპასუხო შეხვედრაში გამარჯვება შეგვიძლია.

„პარტიზან“ — „კროაციას“ შორის საბოლოო გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე „ნიუკასლ იუნაიტედს“ შეხვდება.

ჩემპიონთა თასზე „გლაზგო რეინჯერსმა“ ფარერის კუნძულების ჩემპიონს „გოტუს“ ტოფტირში 5:0 მოუგო. ეს წყვილი შემდეგ ეტაპზე შვედურ „გიოტებორგთან“ შესახვედრად იბრძვის. მე-19 წუთზე ალექს კლილენდმა ჩააწოდა,



გოტუ — რეინჯერსი. მასპინძელი ესმუნ იუსტინუსენი, ცხადია, ერთობ დაღალა თითქმის თანამემამულე ბრიან ლაუდრუპის მეურვეობამ

შოტლანდიელთა გუნდის იტალიელმა დებიუტანტმა მარკო ნეგრიმ კი მეხივით დაიქუხა და ანგარიში გახსნა. ექვსი წუთის შემდეგ კლილენდის მეორე ჩაკიდებამ გამოიღო შედეგი: ამჯერად გორდონ დიურიმ თავით ივარგა. ტაიმის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე გლაზგოელთა მწვრთნელს უოლტერ სმიტს დანიელი ბრიან ლაუდრუპი შეექნა შესაცვლელი, რადგან მას ერთ ეპიზოდში ფეხში მწარედ უთავაზეს. კართა შეცვლის შემდეგ „რეინჯერსის“ ქომაგთა კერპმა ალი მაკკოისტმა 3:0 გახადა. მოგვიანებით ესტაფეტა კვლავ დიურიმ მიიღო — 4:0, თუმცა ბოლო გოლის სასიხარულო განცდა მაინც მაკკოისტისა იყო — 5:0.

ჰო, შოტლანდიურმა გუნდებმა მართლა გაიხარეს. კიდევ ორი, „სელტიკი“ და „დანდი იუნაიტედი“ უეფას თასზე თამაშობდა. „რეინჯერსისა“ არ იყოს, მათი მეტოქეებიც უსუსტესთა კატეგორიიდან იყვნენ და ამიტომაც გამოვიდა სამი შოტლანდიური გუნდის ჯამური შედეგი 16:0. „სელტიკი“ კარდიფში ჩავიდა და უელსურ „ინტერ ქეიბლს“ 3:0 აჯობა, „დანდი იუნაიტედმა“ კი „პრინჩიპატს“ რვა უპასუხო გოლი გაუტანა.

რა არის „პრინჩიპატი“? ანდორის კლუბია, რომელიც აქამდე „ჩარლის რესტორნად“ იყო ცნობილი. იგი თავის დროზე მადრიდის „რეალის“ ანდორელმა გულშემატკივრებმა შექმნეს. „დანდისთან“ მატჩის ასე წაგება „პრინჩიპატის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა კარგ შედეგად ჩათვალეს, რადგან შოტლანდიელთა მიერ გატანილი გოლების რაოდენობა ორნიშნა რიცხვით არ გამოიხატა. კლუბი, რა თქმა უნდა, სამოყვარულოა. მისი ფეხბურთელები არიან მძღოლები, კალატოზები, სკოლის მასწავლებლები, ტურისტული ფირმის აგენტები და ასე შემდეგ.

— საბოლოოდ, შემიძლია განვაცხადო, რომ ბედნიერები ვართ. პირველ ტაიმში მხოლოდ ორი გოლი გავუშვით და საერთოდ, თუ გოლებს თავს დავანებებთ, შეიძლება ითქვას, რომ კარგად ვითამაშეთ — დააგვირგვინა „პრინჩიპატის“ მწვრთნელმა ანდრეს საპატამ.

...ყაველაშვილი და ნემსაძე „გრასჰოპერთან“ საკონტრაქტო დეტალებს რომ აგვარებდნენ, მათ მომავალ თანაგუნდელებს ჩრდილოირლანდიური „კოლრეინის“ მეკარე ვესლი ლემონტი ძალიან დიდი ანგარიშით მოგებაში თავგანწირვით უშლიდა ხელს. მან ისე ითამაშა, რომ ციურიხელთა მწვრთნელს, კრისტიან გროსსაც კი დასტყუა ტაში. ბოლოს ლემონტმა ერთი პენალტიც მოიგერია.

— ჩემი თანაგუნდელები დღეს გმირები იყვნენ. ამოცანას თავი ყველამ გაართვა, სათამაშო დისციპლინა სანიმუშო გვქონდა. არ დაგავიწყდეთ, რომ ახალ სეზონში დღეს ჩვენი პირველი მატჩი იყო — მოგვიანებით ამაყად განაცხადა თავმდაბალმა ლემონტმა.

შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, გოლკიპერს დავიწყებია, მისმა გუნდმა 0:3 რომ წააგოო, მაგრამ ასე არ გახლავთ. მეკარემ იცის, თავი რით დაიმშვიდოს: — დიახ, ჩვენ წავაგეთ, მაგრამ შარშან აქ ასეთივე ანგარიშით წააგო „რეინჯერსმაც“, განა ეს არაფერს მეტყველებს?

კრისტიან გროსი: — დღეს ჩემს ცხოვრებაში მეკარის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ვნახე.

კანი შაილსი, „კოლრეინის“ მწვრთნელი: — ვესლი ჩვენი ლიგის საუკეთესო მეკარეა და ალბათ ჩრდილოირლანდიისთვის ცოდოცაა. იგი უფრო მაღალ საფეხურზე თამაშს იმსახურებს.

და იცით, ვინ არის ამდენი ხალხის აღფრთოვანების ობიექტი? ლემონტი „ლინფილდის“ ყოფილი მეკარეა და 1993 წელს თბილისში ორი ბურთი გაუშვა.

რა იყო კიდევ? რა და, ერთი მოულოდნელი შედეგი. ისლანდიურმა „რეიკიავიკმა“ რუმინეთის დედაქალაქის „დინამოს“ 2:0 მოუგო. გოლები გაიტანეს დანიელსონმა პენალტით 27-ე წუთზე და დადასონმა 51-ზე.

**პაპუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგი ფორვარდის სილვიონ ვილტორის თავისთან გადაყვანა ლაკორუნიის „დეპორტივოს“ შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. გუშინ საფრანგეთის ფეხბურთის მამებმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი აფრინეს, მაგ ფეხბურთელს „რენთან“ კონტრაქტი მომავალ წელს უმთავრდება და თქვენთან ვერ ითამაშებსო.**

საფრანგეთის „ნანტის“ მწვრთნელი ჟან კლოდ სიუდო გადადგა. 59 წლის სიუდო 1981-88 და 1990-97 წლებში წვრთნიდა „ნანტს“. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ ჩემპიონობა მოაგებინა, რამდენჯერმე პრიზიორი გახადა, არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი გამოზარდა, მათ შორის დიდიე დეშამპი, კრისტიან კარემბე, მარსელ დესაი, პატრის ლოკო. მისი თქმით, მოხუცდა და დასვენება სჭირდება: წლებმა თავისი გაიტანა, მეტი აღარ შემიძლიაო.

**ინგლისის ერთ დროს უძვირფასესმა ფეხბურთელმა სტენ კოლიმორმა რომ გაიგო, „ლივერპულში“ გატარებული ორი სეზონი არადამაკმაყოფილებლად ჩამითვალესო, განაცხადა: „ენფილდ როუდზე“ მე და რობი ფაულერმა ორ სეზონში 102 გოლი შევაგდეთ. 1996-ში პრემიერლიგის საუკეთესო წყვილი ვიყავით, წელს კი მხოლოდ შირერ-ფერდინანდმა გვაჯობეს. ასე რომ, „წითლებში“ ნათამაშევი პერიოდი ფუჭად სულაც არ მიმაჩნია“. სტენმა იქვე დასძინა, რომ ახლა „ასტონ ვილაში“ დუაიტ იორკთან ერთადაც დაამტკიცებს უძლიერეს ფორვარდობას.**

გერმანიის თასის მფლობელი „შტუტგარტის“ პრეზიდენტის, გერჰარდ მაიერ-ვორფელდერის განცხადებით, ფრედი ბობიჩი კლუბმა 2001 წლამდე შეინარჩუნა და ელბერის დარად მის გაყიდვას არ აპირებს. 25 წლის ბობიჩს 1999 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი. ახლა კიდევ ორი წლით აღუთქვა ერთგულება „შტუტგარტს“.

**ინგლისის 1995 წლის ჩემპიონი „ბლეკბერნ როვერსი“ პირველობას ახალი მწვრთნელით — როი ჰოჯსონით და სათადარიგო მეკარით — ჯონ ვილანით დაიწყებს. კლუბის ძირითად მეკარეს ტიმ ფლაუერსს ოთხშაბათს ვარჯიშზე საზარდულო წამოსტკივებია, მოგვიანებით კი ექიმებს დაუდგენიათ, რომ მას ჩემპიონატის დასაწყისის გაცდენა მოუწევს.**

საფრანგეთის სუპერთასი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის ჩემპიონმა და უეფას თასის ნახევარფინალისტმა „მონაკომ“ მოიგო. ჟან ტიგანას ბიჭებმა თასის მფლობელი „ნიცა“ 5:2 გაანადგურეს. გოლები გამარჯვებულთაგან ნდორამმა (ორი), ლეფებრემ, იკპებამ და ტრეზემ გაიტანეს, ამათ კი დებამ და ვინოლამ მხოლოდ ორჯერ უპასუხეს.

**გერმანიის ჩემპიონებს ბუნდესლიგის პირველ ტურში „კაიზერსლაუტერნის“ წინააღმდეგ ფორვარდი ალექსანდრ ციკლერი გამოაკლდებათ. 1995 წლის 28 მარტს რუსთავში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კარში ორი გოლის გამტანი ციკლერი ვარჯიშზე თანაგუნდელ დიტმარ ჰემანს დაეჯახა და მუხლი დაიზიანა. ექიმების ვარაუდით, იგი ორ კვირაში შეძლებს თამაშს.**

შოტლანდიელი ნახევარმცველი კრეიგ ბარლი, ვინც წელს „ჩელსისთან“ ერთად ინგლისის თასი მოიგო, ორნახევარ მილიონ გირვანქად სამშობლოში, „სელტიკში“ გადაბარგდა. 25 წლის ფეხბურთელს გლაზგოში ჩასვლისთანავე შეხვდა „სელტიკის“ გენერალური მენეჯერი ჯოკ ბრაუნი და საათნახევრიანი ჭაუბრის შემდეგ მათ ხუთწლიანი კონტრაქტი დადეს.

**გერმანიის 1995-96 წლების ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ უარყო ხმები, თითქოს ჩემპიონთა თასის ოთხზის მფლობელმა „ლივერპულმა“ მას რიდლეზე ჩამოუგდო სიტყვა. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულთა წარმომადგენელმა იოზეფ შნიკმა განაცხადა, ეს მორიგი ჭორია, თუ ინგლისელებს რაიმე სურდათ, პირდაპირ გვეტყოდნენო. ინგლისური პრესის ცნობით კი, „ლივერპულმა“ კარლ-ჰაინც რიდლეს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, „დორტმუნდს“ კი მის ნაცვლად ორნახევარი მილიონი დოლარი შეაძლია.**

ბრაზილიის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა „ფლამენგომ“ განაცხადა, მიუხედავად კანტონას ფეხბურთიდან წასვლისა, მისი შეძენის სურვილით ვიწვითო. რიოელთა ვიცე-პრეზიდენტ მიშელ ასეფის თქმით, გუნდის პრეზიდენტი კლებერ ლიტი ამჟამად ევროპაშია და ერიკთან გასაუბრებაც აქვს გეგმაში. ერიკს ბრაზილიელები პირველად როდი იწვევენ: 1995 წელს, როცა კანტონა გულშემატკივრის გალახვისთვის იყო დისკვალიფიცირებული, იგი „სან პაულუმ“ მოინდომა.

**ინგლისის ზედიზედ ორგზის მეორე პრიზიორი „ნიუკასლი“ დიდ ვაჭრობაშია. თითქმის გადაწყდა, რომ ვეტერანი პიტერ ბერდსლი პრემიერლიგაში ერთწლიანი შესვენების შემდეგ აღზევებულ „ბოლტონში“ გადადის ნახევარ მილიონ გირვანქად. ბოლტონელთა თავკაც კოლინ ტოდის თქმით, 36 წლის ბერდსლის გამოცდილება მათ ახალგაზრდებს დიდად წაადგებათ. კვლავ დაირხა ხმები ფერდინანდის გაყიდვის შესახებაც. საქართველოს ნაკრების კარში გოლის გამტანი ლესი „ნიუკასლმა“ 10 მილიონად შეაფასა. „ტოტენჰემს“ ფასი არ ეწყინა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ლონდონელები „ნიუკასლს“ თანხაზე მორიგებიან და მხოლოდ ფეხბურთელის პირობები დარჩენილა შესათანხმებელი. ისე, „ტოტენჰემის“ პრეზიდენტ ალან შუგარს გუნდის მწვრთნელი ჯერი ფრენსისი შეუჩნდა, ეგ ბიჭი უნდა ვიყიდოთო. თავის დროზე იგი ფერდინანდს „ქუინზ პარკში“ წვრთნიდა.**

შვედეთის ჩემპიონატში მეთოთხმეტე ტურის მატჩები გაიმართა: მალმიო — გიოტებორგი 1:1, ელფსბორგი — ტრელებორგი 3:2, დეგერფორსი — ვასტერასი 0:0, ორგრიტე — ჰელსინგბორგი 2:2, ორებრო — აიკ (სტოკჰოლმი) 3:2, ლუნგსკილი — ოსტერი 3:0, ნორჩიოპინგი — ჰალმშტადი 0:3. პირველობას ქვეყნის უტიტულოვანესი გუნდი „გიოტებორგი“ ლიდერობს, თუმცა, გამოტოვებულ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში მისი დაწევა მეორე ადგილზე მყოფ „ჰალმშტადსაც“ შეეძლება. მესამეზეა „ელფსბორგი“.

**გერმანელ ნახევარმცველს, სკანდალებით განთქმულ შტეფან ეფენბერგს და მის თანამოაზრე მეუღლეს სასამართლომ 215 ათასი დოლარის გადახდა მიუსაჯა მათ სახლთან მომუშავე 57 წლის სანტექნიკოსის ცემისა და გინებისთვის. დეკემბერში მათ თვალში არ მოუვიდათ პატიოსანი მუშა და ლაზათიანად მიბეგვეს. წყვილმა ბრალდება უარყო და საქმის ხელახალი განხილვა სექტემბრისთვის გადაიტანეს.**

სამხრეთ ამერიკაში ოთხშაბათს კონტინენტის უპოპულარულესი ტურნირის, „კოპა ლიბერტადორესის“ ნახევარფინალები გაიმართა. ბუენოს აირესში არგენტინულმა „რასინგმა“ 3:2 სძლია პერუს „სპორტინგ კრისტალი“. არგენტინელთაგან გოლები უბედამ (ორი) და ვილიალონგამ შეაგდეს, მეტოქემ კი სოტასა და ბონეტის წყალობით ორი გაქვითა. ბელუ ორიზონტში ადგილობრივმა „კრუზეირომ“ ჩილეს „კოლო კოლოს“ უმასპინძლა და მარსელოს მეშვიდე წუთზე შეგდებული გოლით 1:0 მოიგო: სტუმართა მეკარე რამირესმა ბურთი უხერხულად მოიგერია და ცარიელი კარის წინ მყოფმა მარსელომ ამით ისარგებლა. მე-12 წუთზე მსაჯმა ჩილელი გონსალესი გააძევა და „კოლო კოლომ“ შეხვედრა ათი კაცით დაასრულა. განმეორებითი მატჩები 30 ივლისს გაიმართება.

**ესპანეთის „ბარსელონამ“ რონალდოს ნაცვლად „მონაკოს“ ფორვარდი სონი ანდერსონი იყიდა. კატალონიელები ბრაზილიელს თურმე კარგა ხანს უთვალთვალებდნენ. „ბარსელონას“ თავკაცმა ლუის ვან გაალმა თქვა, შესაძლოა, იგი გუნდის სულად და გულად იქცესო. გადახდილი თანხის ზუსტად დასახელებაზე კი თავი შეიკავა და ზოგადად თქვა, „მონაკომ“ ფორვარდში 16-დან 20 მილიონ დოლარამდე მიიღოო.**

მსოფლიოს ფეხბურთის მამა ჟოაო ავილანჟი ამჟამად არგენტინაში მოგზაურობს და გზადაგზა პრესკონფერენციებსაც მართავს. პარასკევს მხცოვანმა ჟოაომ არგენტინის დედაქალაქში შეიარა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის შენობაში ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. 80 წლის ავილანჟმა, რომელიც 1974 წლიდან ფიფას თავკაცია, და რომელსაც გულშემატკივრების უმეტესობა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიეგო მარადონას დისკვალიფიკაციასა და მის „გზიდან ჩამოცილებაში“ ადანაშაულებს, შეკრებილთ გაუმხილა — გაისად ფიფას ახალ პრეზიდენტს რომ აირჩევენ, მსურს, ჩემი საქმის გამგრძელებლად თქვენებური ხულიო გრონდონა ვიხილოო. განცხადებამ დამსწრე საზოგადოებაში არა-

## ის ურჩევნია ჟოაოს...



REUTERS

გრონდონა და ავილანჟი

ერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ეშმაკმა ჟოაომ კი არგენტინელთა ქებადიდება განაგრძო. ნახევარი საათი მან არგენტინული ფეხბურთის აღმასვლაზე ისაუბრა, ქვეყნის 20 წლამდელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა მიულოცა. ბოლოს კი დასძინა, ასეთი წარმატებები იმაზე მიუთითებს, რომ სწორი გზა აირჩიეთ, რომლის თავი და თავი, რაღა თქმა უნდა, გრონდონააო.

მაინც, ვინაა ავილანჟისგან ესოდენ ქებული ხულიო გრონდონა? იგი არგენტინაში დაბადებული და აღზრდილი კაცია, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი ფეხბურთს შეალია. 35 წელზე მეტია, იგი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციაში იღწვის, 1979 წლიდან კი ამ ორგანიზაციას უდგას სათავეში. გრონდონას დამსახურებად იმას მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტად არჩევის დღიდან, ქვეყანაში მომხდარი უამრავი პოლიტიკური ცვლილებისა თუ გადატრიალების მიუხედავად, იგი პირნათლად ემსახურება საქმეს და სენსაციის მოყვარული ჟურნალისტებისთვის მის პიროვნულ სისპეტაკეში ეჭვის შეტანის მცირე საბაბიც არ მიუცია. გრონდონამ რამდენჯერმე შეინარჩუნა პრეზიდენტის პოსტი. ან კი რატომ უნდა გადაეყენებინათ კაცი, რომლის თავკაცობის ხანაშიც არგენტინის ჩემპიონატი ამერიკის მთელს კონტინენტზე უძლიერეს, ბრწყინვალედ ორგანიზებულ პირველობად იქცა. ქვეყნის კლუბები თითქმის ყოველ წელს იგებენ რაიმე საერთაშორისო ჯილდოს, სხვადასხვა ასაკის ნაკრებები კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულის მსოფლიოს ჩემპიონობასა და ვიცე-ჩემპიონობაზე, თანატოლებში ყველა ტურნირის ფავორიტთა შორის არიან.

ავილანჟის მიერ გრონდონას პრეზიდენტად სავარაუდო დასახელება მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ არგენტინელს, უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისგან განსხვავებით, არასდროს გამოუჩენია ფიფას თავკაცობისკენ სწრაფვის სურვილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი თანამდებობით შეუდს არ ჩამოუვარდება: გრონდონა ფიფას ვიცე-პრეზიდენტი და ამავდროულად ამავე ორგანიზაციის საფინანსო კომიტეტის თავკაციცაა.

მოგვიანებით ავილანჟმა ბუენოს აირესის ერთ-ერთ გაზეთს განუცხადა, გრონდონას გარდა ფიფას პრეზიდენტად ბრაზილიის ფეხბურთის თავკაცი რიკარდო ტეიშეირაც მესახებაო. იქვე დასძინა, კამერუნელი ისა ჰაიატოს კანდიდატურაც განსახილველია, ისევე როგორც ფიფას გენერალური მდივნის ზეპ ბლატერისაო. იუჰანსონზე რომ ჰკითხეს, ფიფას მმართველმა ერთობ უტაქტოდ უპასუხა, მას ფეხბურთში არაკომპეტენტურად ვთვლი და ფიფას პრეზიდენტობაზე მისი შანსები მიზერულად მიმაჩნიაო.

**ლაშა გოდუაძე**

# თავებს წაგაცლითო

წინა „სარბიელში“ იტალიურ ფეხბურთში მომხდარ ცვლილებებზე გესაუბრეთ. ასეთ საფეხბურთო ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს, ცხადია, ერთი-ორი აბზაცი ვერ დაიტევს, ამიტომაც კვლავ ვუბრუნდებით აპენინების სეზონისწინა საფეხბურთო ციებ-ცხელებას. საუბარს „იუვენტუსის“ საუკუნოვანი იუბილეთი დავიწყებთ, რომელიც ტურინში — „სტადიო დელე ალპიზე“ აღინიშნა.

ოთხშაბათს, როცა თბილისში უმრავლესობას ტკბილად ეძინა, ტურინის სტადიონზე დაახლოებით ათი ათასი ქომაგი შეკრებილიყო და საყვარელი კლუბის იუბილეს ზეიმობდა, სტადიონზე ვერშესულნი კი პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟით კმაყოფილდებოდნენ. იმ დღეს „დელე ალპიზე“ თავი მოეყარათ „ბებერი ქალბატონის“ სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და, რაღა თქმა უნდა, „იუვენტუსის“ მფლობელ ანიელთა ოჯახის წევრებს, რომელნიც ზეიმს საპატიო სტუმართა ლოჟიდან ადევნებდნენ თვალყურს. იუბილე დიდი ფეიერვერკით გაიხსნა. მერე სტადიონზე ორი ხის ზებრა შემოიტანეს, მას კი სახელოვან ფეხბურთელთა მთელი რიგი შემოჰყვა: ირლანდიელი ლიამ ბრეიდი, პოლონელი ზბიგნევ ბონეკი, უელსელი ჯონ ჩარლზი, ფრანგი მიშელ პლატინი და, რაღა თქმა უნდა, არაერთი იტალიელი ფეხბურთელი. მოგვიანებით „იუვეს“ ტრადიციულ შავ-თეთრ მაისურით შემოსილმა 24 ქალ-ვაჟმა ამდენივე „სკუდეტო“ ჩამოატარა, რასაც ტიფოზები ცნობილი იტალიელი მომღერლის ეროს რამაცოტის სპეციალურად „იუვენტუსისადმი“ დაწერილი მელოდიის სიმღერით შეხვდნენ. მოგვიანებით პატარა საფეხბურთო შოუც მოეწყო: 80-იანი წლების უძლიერესი „იუვენტუსი“ ორად გაიყო და მრისხანე პლატინი-ბონეკის წყვილი როსის გუნდს დაუპირისპირდა. „პლატინელებმა“ ბონეკის წაქცევისთვის დანიშნული და ფრანგის შეგდებული პენალტის წყალობით 1:0 იმარჯვეს. მაყურებელს ჯერ ოვაციები არ დაესრულებინა, რომ საკლუბო ავტობუსმა ულამაზესი ფეიერვერკის თანხლებით სტადიონზე 1997-98 წლების „იუვენტუსი“ შემოიყვანა. ფეხბურთელებმა ავტოგრაფები დაარიგეს და ბლომად სამახსოვრო სურათიც გადაიღეს. მოკლედ, ოთხშაბათს ტურინში დიდი მხიარულება სუფევდა.

სახად „იუვე“ ზეიმობდა, ძეტოქეები, რომელთაც მომავალ სეზონში ტურინელთათვის სკუდეტოს წართმევა განუზრახავთ, მუხლჩაუხრელად ემზადებოდნენ.

„მილანმა“ საწვრთნელი შეკრება ადრევე დაიწყო და ამხანაგური მატჩიც მოასწრო ქვედალიგელ „მონცასთან“. კაპელოს გუნდს მოგება რომ გაუჭირდა, ამას ანგარიში (3:2) და გადამწყვეტი გოლის 83-ე წუთზე გატანა მოწმობს. ფაბიომ ამ შეხვედრაში კლუივერტი არ ათამაშა, ლიბერიელი ვეა კი ნაკრებში სათამაშოდაა წასული. ასე რომ, სათადარიგო ფორვარდებად მონათლულ ფრანკ ბას და შევდ ანდერსონს თავის გამოჩენის შანსი მიეცათ. პირველი საუკეთესო იყო მინდორზე და გოლიც შეაგდო. მეორე ბობანმა გაიტანა, გადამწყვეტი კი კლუბის სკოლის აღზრდილმა, 19 წლის მატეო პელატიმ. გუნდის თამაშმა კაპელო გააცოფა. მცველებსა და მეკარეზე კი, რომელთაგან არც ერთი 1,85 მეტრზე დაბალი არ არის, მაგრამ ორივე გოლი თაურით გაუშვეს, თქვა — ამათ ჩემპიონატში ერთი თაურიც რომ გაუშვან, თავებს წავაგდებინებო. მეკარე ტაიბის კი ყველაზე მაგრად მოხვდა: იცოდე, „მილანში“ ასე არავინ გათამაშებს და თუ კიდევ ბუზების თვლას მოუნდები, სჯობს, სულ წახვიდე გუნდიდანო.

ფაბიოსგან დაწუნებული რობერტო ბაჯო ერთი კვირაა ბოლონიაში გადავიდა. ბაჯოს მისვლის შემდეგ ბოლონიელთა მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ მოსვენება დაკარგა. იგი თურმე დღე და ღამეს ასწორებს ბაჯოსთვის მისაღები ტაქტიკის გარჩევა-შერჩევაში. გუშინ კი, მეასედ რომ გაზომა ყველაფერი, გადაწყვიტა, ბაჯოს ფორვარდების უკან და ნახევარდაცვაზე წინ ვათამაშებო. თავად ბუდისტი სეზონისთვის გამალებით ემზადება. რონალდოს „ინტერში“ გადასვლა რომ გაიგო, ბაჯომ პრესას განუცხადა, მაგ ბიჭს ესპანეთი არ ეგონოს, აქ მცველები ისე მიეწებებიან, 30 კი არა, 10 გოლიც სანატრელი გაუხდებაო. მერე საკუთარი ჭირ-ვარამიც გაუზიარა მედიას: „ერთ დღეს, როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ჩემი ფეხბურთელობაც დამთავრდება, მაგრამ იქამდე დიდი დროა. ბევრმა ჩამოწერილად ჩამთვალა, მაგრამ მომავალ სეზონში ყველა ნახავს, სხვაზე ჯაბანი რომ არ ვარ. ძალიან მინდა „სკუადრა ატურას“ შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. მანამდე კი ჩემსას ვეცდები. საქმეს 5 აგვისტოს „ინტერთან“ ამხანაგურ მატჩში შევუდგები.“ ერთიც: სანამ ბაჯო ვარჯიშით იქანცებოდა, „ბოლონიის“ მავანმა დიაცმა ტიფოზიმ ფეხბურთელების ახალი საცხოვრებლის, სასტუმრო „სესტოლას“ თავკაცს 570 დოლარი შეაძლია, ბაჯოს საწოლის ქვეშაგები მომყიდეო. უარი რომ მიიღო, ცხარე ცრემლით ატირდა.

კაპელოს გარდა რობერტო ბაჯოს უარმყოფელთა სიაში ვიცე-ჩემპიონ „პარმას“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტიცაა. არადა, თითქმის გადაწყვეტილი იყო რობის „პარმაში“ გადასვლის საკითხი, მაგრამ ბოლო მომენტში ანჩელოტიმ სიტუაცია აწონ-დაწონა და იუარა — ჩემს ტაქტიკურ მონახაზში ვერ ჯდებაო. ამაზე პოპულარული „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა: „ნეტავ, რა ტაქტიკა აქვს ანჩელოტის ასეთი, მასში რობერტოსთვის ადგილი რომ ვერ მოინახა? ალბათ, რაღაც არნახული და განუმეორებელი.“ ეს რომ მწვრთნელმა იხილა, არანაკლებ ცნობილ „კორიერე დელა სერასთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში აღნიშნა: „არაფერი განსაკუთრებული — მონახაზი თითქმის იგივეა. ტაქტიკაც, უმნიშვნელო ცვლილებების გარდა, სწორედ ისეთი, შარშანდელი საშინელი სტარტის შემდეგ რომ ავირჩიე“.

„სამპდორია“ რიხიანად ემზადება, მაგრამ საინტერესოა, რას იზამენ გენუელები თითქმის თილისმად ქცეული რობერტო მანჩინის გარეშე. მოქმედ ფეხბურთელთა შორის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი მანჩინი „სამპდორიაში“ 15 წელი თამაშობდა, მისი „ლაციოში“ გადასვლის ამბავი კი აპრილში გადაწყდა. ახლა რობი ერთობ გაძლიერებულ დედაქალაქელებთან ერთად იწვრთნება. გუნდის თავკაციც ექს-სამპდორიელი სვენ გორან ერიქსონია, რომელმაც „ლაციოში“ მისვლა კარიერაში ახალი ეტაპის დაწყებად მიიჩნია. ამ დღეებში მან თქვა, 1982 წლიდან რაც გუნდები მიწვრთნია, მათ შორის „ლაციო“ უძლიერესიაო. არადა, ამ ხნის განმავლობაში შვედი ოთხ იტალიურ კლუბს და „ბენფიკას“ მწვრთნელობდა. „ბიჭების დიდი იმედი მაქვს. მწამს, შევძლებთ, 25 წლის შემდეგ „ლაციოს“ სკუდეტო მოვაპოვებინოთ, თუმცა ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად „იუვე“ მიმაჩნია. მის მერე ოთხიხუთი კლუბი მოდის და მათ შორისაა „ლაციოც“. ვგონებ, უძნელესი პირველობა უნდა გამოდგეს. ვიმეორებ, ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ“ — განაცხადა ერიქსონმა.

სანამ იტალიური ფეხბურთის ალიარებული ლიდერები შეკრებებზე იმყოფებიან და მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვით არიან დაკავებულნი, მათ ჩრდილში მოქცეული მომცრო კლუბები, რომელთაც მიზნად სერია A-ში დარჩენა, ან უკეთეს შემთხვევაში ევროთასზე გასვლა დაუსახავთ, წყნარად ემზადებიან ჩემპიონატისთვის. სწორედ ამ სიტუაციაშია იტალიური ფეხბურთის ელიტაში დაბრუნებული „ბრეშია“, რომელიც რამდენიმე დღეა, შეკრებას უმწვრთნელოდ გადის. თურმე ნუ იტყვით, მწვრთნელი ედუარდო რეჯა პრეზიდენტ ლუიჯი კარიონის წაკინკლავებია და ბაზა მიუტოვებია. თან დაუბარებია, აქ ჩემს ფეხს, ისევე როგორც საკუთარ ყურებს, ვეღარ იხილავთო. კორიონიც დიდად არ შეწუხებულა და მწვრთნელი ორ დღეში იპოვა: 51 წლის ჯუზეპე მატერაცი, ვინც ბოლო სეზონში „პადოვას“ თავკაცობდა, მანამდე კი „ბარიში“ მუშაობდა.

**ლაშა გოდუაძე**

იურგენ კლინსმანი ამბობს, რომ „ბაიერნში“ გატარებულ ორ სეზონს გაფლანგულად არ თვლის, მაგრამ თავისუფალ და ლაღ იტალიაში დაბრუნება ძლიერ ახარებს.

— იტალია მშვენიერი ქვეყანაა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ — თქვა „ინტერის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, რომელმაც ახლა „სამპდორიასთან“ ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. იგი ვარაუდობს, რომ იტალია მისი დიდი კარიერისა და მოგზაურობის ბოლო პუნქტია. ცხოვრებამ მას „შტუტგარტი“, „ინტერი“, „მონაკო“, „ტოტენჰემი“ და „ბაიერნი“ მოატარა. კლინსმანი გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებისთვის თავის დანებებას აპირებს, ბუნდესლიგაში კი უკვე აღარასდროს დაბრუნდება.

# იურგენის სამოთხე

— დიახ, გერმანიაში აღარ ვითამაშებ — თქვა მან „სამპდორიას“ ვარჯიშის შემდეგ. გენუელები ალპებში, ულამაზეს კურორტზე ემზადებიან.

— არა, „ტოტენჰემიდან“ მიუნხენში გადასვლა შეცდომა არ იყო. მაინტერესებდა, გერმანიაში ცხოვრებას თუ შევძლებდი. კიდევ კარგი, ვერ შევძელი. მართალია, იქ გამოცდილება შევიძინე და ჩემპიონის ტიტულიც მოვიგე, მაგრამ გამიჭირდა. იტალიაში ხალხი ნებას გაძლევს, ვინც ხარ, ის იყო. გერმანიაში კი სურთ, მათნაირი გახდე. არ მინდა, მუდამ თავის გამართლება მიხდებოდეს.

„ბაიერნში“ კლინსმანს მათეუსთან მოუვიდა კონფლიქტი, თანაც ჯოვანი ტრაპატონის დაცვით ტაქტიკას ვერ შეეგუა.

✦ პრესასთან და ზოგ თანაკლუბელთან პრობლემა შემექმნა, სინდისი კი სუფთა მქონდა, გოლები გავიტანე და „ბაიერნის“ ჩემპიონობაში წვლილი დავიდე, რაც მახარებს.

— იტალიაში დაბრუნება უპირველესად ოჯახური გადაწყვეტილება გახლდათ. დრო გადის, წინ ორიოდ სეზონი მაქვს და ვალდებული ვარ, ვიფიქრო, მერე რა იქნება. აქ ბევრი მეგობარი მყავს, მაქვს სახლი კომოს ტბაზე და კიდევ მყავს სამი თვის ვაჟი, ჩემი საზრუნავი.

— „სამპდორიაზე“ თვალი ყოველთვის მქონდა დადგმული. მას ამხანაგური და ამბიციური გუნდის რეპუტაცია აქვს და შემტევ ფეხბურთს თამაშობს.

— იტალიაში გარკვეული გაგებით ძალიან ინგლისური გარემოა. თავს ოჯახში გრძნობ, ისევე, როგორც „ტოტენჰემში“.

— ჩემი შეძენა ძალიან სურდა „პარმას“. მოლაპარაკებები მქონდა „ტოტენჰემთანაც“, მაგრამ სინამდვილეში „სამპდორიას“ ზარს ველოდი.

რონალდოზეც ჰკითხეს.

— ვფიქრობ, „ბარსელონა“ თავდამსხმელისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კარგი გუნდია. „ბარსა“ ყველა დროში ბურთის შეტევაში გადატანას ცდილობდა, „ინტერი“ კი სხვანაირია. ალბათ რონალდოს შესაგუებლად დრო უნდა მისცეთ.

# არგენტინაში გაფიცვაა

სამშაბათს არგენტინის ჩემპიონატში მონაწილე ყველა ეროვნების ფეხბურთელები გაიფიცნენ. „რივერ პლეიტის“ მცველმა ედუარდო ბერისომ ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხბურთის ფედერაცია მოთამაშეთა უფლებებს არღვევს და სანამ სიმართლე არ გაიმარჯვებს, ფეხბურთს არ ვითამაშებთო. მიზეზი კი ერთობ სუსტი კლუბის, „დეპორტივო ესპანიოლის“ ექვსი ფეხბურთელი ყოფილა, რომელთაც ამოეწურათ კონტრაქტი და სხვა გუნდში გადასვლა გადაწყვიტეს, არგენტინის ფეხბურთის ასოციაციამ კი დაადგინა, რომ კლუბმა ვალების გასასტუმრებელი თანხის ნაწილი ფეხბურთელების გაყიდვით უნდა მიიღოს. ამან, ცხადია, შარში გახვეული მოთამაშეების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და მათაც არგენტინის დასაქმების სამინისტროს სთხოვეს საქმის გარჩევა. ოთხშაბათს ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლები და მოთამაშეები სამინისტროში მივიდნენ, მაგრამ ხუთსაათიანი ბჭობის შემდეგ საქმეს ნათელი ვერ მოეფინა და სიმართლე ვერ გაირკვა. ამან ფეხბურთელთა საშინელი გულისწყრომა გამოიწვია. თავიანთი პროტესტის მიუხედავად, იმავე დღეს „რასინგის“ ფეხბურთელებმა ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალური მატჩი ჩაატარეს, რადგან ტურნირს სამხრეთ ამერიკის კონფედერაცია აწყობდა და არა არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია. მერე ფეხბურთელებმა ყველა კოლეგის სახელით განაცხადეს, რომ სიტყვას არ გადავლენ, სანამ სამართალი არ აღსრულდება.

ამასობაში ჰაერში გამოკიდებულმა ექვსმა მოთამაშემ თქვა, ვარჯიშს კი განვაახლებთ, მაგრამ მინდორზე არაფრის დიდებით გამოვალთო.

**გიგა ძოგახიძე**




რაჳან ეს საქმე დამთავრდა, რაჳან სააგენტოები ყოველ საათს აღარ მოგვაწვდიან რონალდოს გადასვლა-არგადასვლის ამბავს, მე, პირადად ვკისრულობ პეროვსკაიაზე გასეირნებას და ათიოდ პინტა ლუდს.

არ ამოვისუნთქეთ?

რაღა ეშველებოდა მსოფლიო ფეხბურთს, პატარა რონალდინიო რომ „ინტერში“ არ გადასულიყო? დასრულდა ეს განუმეორებელი პოსტბოსმანური ისტორია. ოცი წლის ბიჭი გადავიდა იქ, სადაც მეტს გადაუხდიან.

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ ერთ წელიწადნახევარში ფეხბურთელი ასეთ რამედ გადაიქცეოდა. სწორედ ამ წელიწადნახევრის წინ ჟან მარკ ბოსმანის ხადღეგრძელოს ვწერდი აი, ამ სვეტში. გახსოვთ ალბათ, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი ერთი უუფლებო ვინმე იყო. ბოსმანი დიდი არაფერი მოღვაწე იყო, მაგრამ უფლების ამბავში პირველმა მან გაიმარჯვა და სულ მალე ფეხბურთელი ბატონკაცი შეიქნა. უბრალოდ უფლებამოსილი კაცი კი არა — ბატონკაცი.

განა ყველა ფეხბურთელზე ვამბობ?

არიან ნაღდი ბიჭებიც, რომლებსაც არაერთხელ უთქვამთ თქვენთვის კარგად ნაცნობი ფრაზა: „განა ფული ყველაფერია“?

არა, ფული ყველაფერი არ არის, მაგრამ ძალიან ბევრი კია.

რონალდოს შემთხვევაში არჩევანი ასე გამოიყურებოდა: ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი ფული და ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან ბევრი ფული.

რა გასაკვირია, რომ ბიჭმა, რომელიც დღეს ღმერთად არის აღიარებული — ხელფასი მოითხოვოს? რონალდომ შუა სეზონშივე დაატყო, რომ მეტის მოთხოვნა შეეძლო. მოითხოვა, მისცეს. მერე კიდევ მოითხოვა. აღარ მისცეს. მერე კიდევ... მთელი მეორე წრე ხელფასისთვის ჭიდაობა იყო. ნუნიესი და გასპარი მაგრად დახვდნენ. ძაან ბიძები გამოდგნენ და ბოლობოლო კარგი ფულიც მოიგეს ამ ოცი წლის ბიჭში.

რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მართლაც ზღაპრული მოთამაშეა. თან როგორ უხდებოდა ლურჯ-წითელი კატალონური სამოსი...

მაგრამ ფეხბურთი კარგახანია აღარ არის მხოლოდ ფეხბურთი — მანე გარინჩას დროება წარსულს ჩაბარდა.

„უორლდ სოკერის“ ერთ-ერთი ბოლო ნომერი გადაშალეთ და ამ ჟურნალის რედაქტორის კირ რედნიჯის კომენტარებს ჩაუკვირდით. იქ გასახდელებზეა ლაპარაკი.

როგორია ბოსმანისშემდგომი დიადი კლუბების გასახდელებიო, კითხულობს რედნიჯი.

გასახდელში ერთმანეთისადმი არცთუ კეთილად განწყობილი ბიჭები სხედან. ბიჭები, რომლებიც, ერთმანეთს წარბებსქვემოდან უმზერენ და ერთ გუნდს წარმოადგენენ, რადგან ასეთი ხელობა აქვთ. აუცილებლად გუნდი უნდა იყვნენ. გუნდი, რომელსაც „ბარსა“ ჰქვია. „ბარსა“!

თავში კი ერთადერთი ფიქრი: „ფული“.

მთელი სეზონი გრძელდებოდა ხოსეპ გვარდიოლას, ფრანკო ფერერის, იმავ რონალდოს ჭიდაობა ხელფასზე ერთი ნულის, თუ რაღაც ჯანდაბის მისამატებლად.

მე განა იმას ვამბობ; რონალდო ფულს არ უნდა ითხოვდეს-მეთქი?

პირიქით, სადაც მავანს მილიონი აქვს ფარჩაკ გუნდში, მას სამი და ოთხიც ერგება.

უბრალოდ, არ შეიძლება მთელი მსოფლიო გადააყოლო შენს ხელფასს.

არ შეიძლება დიადი კლუბები ბავშვებივით აწრუწუნო და ერთმანეთს წაჰკიდო შენი ხელფასის გამო. მითუმეტეს, რომ ძალიან ბევრი ლამაზი გოლი კი გაგაქვს, მაგრამ ერთადერთ საერთაშორისო ტიტულს ფლობ და არცთუ ყველაზე პრესტიჟულს. მესმის — უპირველესი ვარსკვლავი ხარ.

მაგრამ მაინც ასე მგონია: „ბარსა“ ათასჯერ უფრო დიდი რამ არის, ვიდრე თუნდაც ხუთი რონალდო. კატალონური ფეხბურთი არ დაწყებულა ამ, მსოფლიოს საუკეთესო ბიჭით. არც მისით დამთავრდება.

მან კი თავისი ხელფასით და მილიონებით ტვინი წაგვჭამა.

ფეხბურთში უამრავი რამ არის საინტერესო, განა რონალდოს ხელფასს უნდა გადავყვეთ?

მორჩა!

მადლობა ღმერთს.

**საქართველოს** 1981 წლამდე დაბადებულთა ნაკრებმა ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მე-9 ადგილი რომ დაიკავა, ეს უკვე გაცნობეთ. სათამაშო სახეობებში ეს ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე ხეირიანი შედეგია და ამიტომაც გვინდა, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჩემპიონატს. გვესაუბრება გუნდის მთავარი მწვრთნელი ნიაზ დანელია.

# ბიჭებს მოვლა უნდათ...

— საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის მე-9 ადგილი არც ისე დიდი ბედენაა, მაგრამ ვინც ჩვენი სპორტის დღევანდელი მდგომარეობა იცის, ამ შედეგით კმაყოფილია. რვა უძლიერესში მოსახვედრად ერთი გამარჯვება გვაკლდა. თანაც, მაღალმთიან ადგილზე დავბინავდით, თამაშები კი დაბლობზე გვქონდა. სიმაღლეთა ცვალებადობამაც იმოქმედა გუნდის წევრებზე. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე ირაკლი ნიჟარაძე კი ავად გახდა. იტალიელებთან პირველი შეხვედრის შემდეგ მითხრა, ველარ ვითამაშებო და, როცა ექიმმა წნევა გაუსინჯა, ბიჭს 150-100-ზე ჰქონდა. ამის გამო ირაკლი გუნდს ბოლო თამაშამდე ვერ დაეხმარა ისე, როგორც მისგან მოველოდით. იტალიელებთან უძნელესი მატჩის მერე (იგი დამატებით დროში მოვიგეთ) შემდგომ ეტაპზე გასასვლელად ერთი მოგებაღა გვჭირდებოდა. ხორვატებთან და განსაკუთრებით ესპანელებთან შეხვედრისას ძალზე ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან. ესპანელებთან ბიჭებმა მშვენივრად ითამაშეს და რომ არა მსაჯთა ზედმეტი სიმკაცრე, რომელთაც მეორე ტაიმის დასაწყისშივე უცენტროდ დაგვტოვეს, გავიმარჯვებდით. რა თქმა უნდა, ობიექტურად ესპანელები ჩვენზე ძლიერები იყვნენ, მაგრამ თამაში ისე წარიმართა, მოგება შეიძლებოდა. ბოლო ორი თამაშიდან (ბერძნებთან და სლოვენებთან) სლოვენებთან მატჩზე გავაკეთეთ აქცენტი. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 29:27-ს ვიგებდით და ამ ოთხ წუთში 18 უპასუხო ქულა ჩაგვიგდეს. ფაქტობრივად ამ ოთხმა წუთმა გადაწყვიტა შემდეგ ეტაპზე გასვლის ბედი და კიდევ სლოვენთა ლიდერმა, რომელსაც ამ ჩემპიონატზე ვერაფერი მოუხერხეს. ჩვენ მას ორი პერსონალური მეურვე მივუჩინეთ, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მეცხრე ადგილისთვის ბრძოლებში ჩავებით. მასპინძლებთან გამარჯვება არც გაგვკვირვებია, რადგან ბელგიის ნაკრები ყველა დანარჩენ მონაწილეზე სუსტი იყო. უშუალოდ მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში კი მაკედონიის ძლიერ ნაკრებს შევხვდით. ჩემი ღრმა რწმენით, მაკედონიელები ამ ჩემპინატზე შემთხვევით ვერ მოხვდნენ უძლიერესებში. მათ იუგოსლავებთან მხოლოდ ბოლო წამს წააგეს, რუსეთის გუნდს კი მხოლოდ სამი ქულა დაუთმეს. სწორედ მათთან იმარჯვეს ბიჭებმა და მე-9 ადგილზეც გავედით.

ჩვენი მოთამაშეებით უცხოელი სპეციალისტები დაინტერესდნენ. ჩემთან ოთხი ამერიკელი სპეციალისტი მოვიდა ბოისაზე ინფორმაციის მისაღებად, საერთოდ, ჩემპიონატის დამსწრე ყველა სპეციალისტმა მიიჩნია ბოისა ევროპის კალათბურთის ამომავალ ვარსკვლავად. სპეციალისტთა ყურადღება მიიქციეს ნიკოლაძემ, ნიჟარაძემ და წიკლაურმა.

რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო. როდესაც საბერძნეთის უძლიერესმა გუნდმა იუგოსლავიასთან წააგო და ერთადერთი წაგების გამო მეხუთეზე დარჩა, მათი მწვრთნელი ტიროდა. მერე მითხრა, თქვენ რაც დახარჯეთ ამ ჩემპიონატისთვის მზადებისას, ვიცით. ჩვენ კი იმდენი თანხა გავიღეთ, გაუმარჯვებლობა ტრაგედიააო. რა თქმა უნდა, ბერძნების მსგავს მომზადებას ვერ მოითხოვ, მაგრამ ოდნავ ნორმალურ პირობებში ჩვენი გუნდი საუკეთესო ექვსეულში მოხვდებოდა. ისე, საბერძნეთში ჩვენი ტურნირისწინა მზადება რომ არა, ერთ თამაშსაც ვერ მოვიგებდით. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკას. იუგოსლავიას იგივე გუნდი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელიც შარშან რიგაში იყო შესარჩევ ტურნირზე. მაშინ მათთან მეორე დამატებით დროში წავაგეთ. ახლა კი იუგოსლავებს ველარ იცნობდით, ისეთნი იყვნენ ფიზიკურადაც და ოსტატობის მხრივაც.

საერთოდ, ჩვენი კალათბურთის მომავალზე დიდი დაფიქრება გვმართებს. ჩვენ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები და თუ სახსრები არ გამოინახა ამ სახეობის განსავითარებლად, დღესდღეობით რაც გვაქვს, იმასაც დავკარგავთ.

**ილია მხეიძე**

# ჯექსონი ისევ ხარია

— ბედნიერი ვარ გუნდში, სადაც კალათბურთელებს ერთად მუშაობა სიამოვნებთ და რომელსაც მწვრთნელთა დიდებული გუნდი ჰყავს. ჩვენ მზად ვართ ერთხელაც დავლაშქროთ ის ურჩხული, NBA-ს ჩემპიონის ტიტული რომ ჰქვია. კმაყოფილი ვარ, ჯერი რეინსდორფმა და „ჩიკაგო ბულზის" სხვა ხელმძღვანელებმა უძლიერესის სახელისთვის ბრძოლის მორიგი შანსი რომ მომცეს — თქვა 51 წლის ფილ ჯექსონმა და ჩიკაგოს გუნდთან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

— ფილმა მითხრა, რომ კიდევ ერთ სეზონში სურს სცადოს ტიტულის მოპოვება. ჩვენც ეს გვინდოდა. სულ ვფიქრობდით, რომ მას ბოლოჯერ დავიქირავებთ, შემდეგ კი ყურადღებას სამომავლო გეგმებზე გადავიტანთ — ეს სიტყვები კი „ბულზის" პრეზიდენტს ჯერი რეინსდორფს ეკუთვნის. მან ისიც განაცხადა, რომ ახალმა, ერთწლიანმა კონტრაქტმა ჯექსონი ყველაზე დიდშემოსავლიან მწვრთნელად აქცია და ხაზი გაუსვა, რომ ლაპარაკია იმ მწვრთნელებზე, რომლებიც მხოლოდ თავიანთი საქმით არიან დაკავებულნი, თორემ NBA-ში არიან ისეთებიც, გენერალური მენეჯერის ფუნქციებსაც რომ ითავსებენ. თანხები კონკრეტულად არ დაუსახელებია.

„ბულზის" ხელმძღვანელად ფილ ჯექსონის დარჩენა იმასაც ნიშნავს, რომ შესაძლოა გუნდი არც დიდმა მაიკლ ჯორდანმა დატოვოს. საქმე ის გახლავთ, რომ ჯორდანს ნათქვამი ჰქონდა, მირჩევნია, თამაშს თავი დავანებო, ვიდრე სხვა მწვრთნელთან ვიმუშავოო. აღსანიშნავია, რომ ჯორდანმა შარშან 30,1 მილიონი დოლარი მიიღო, წლეულს კი, როგორც ამბობენ, გასამრჯელოს მომატებას ითხოვს, 40 მილიონი გადამიხადეთო.

ფილ ჯექსონი, გასულ სეზონში მეხუთედ გახდა NBA-ს ჩემპიონი მწვრთნელი. ტიტულთა ასეთ რაოდენობას მანამდე მხოლოდ ორმა მიაღწია: რედ აუერბახმა, რომელსაც საბოლოოდ ცხრაგზის ჩემპიონის სახელი დარჩა და ჯონ კანდლამ, რომელიც სწორედ ხუთჯერ იყო გვირგვინოსანი.

ჯექსონი NBA-ს საუკეთესო მწვრთნელი რომაა, ამას სტატისტიკაც მოწმობს. მის გამარჯვებათა პროცენტული მაჩვენებელი 733 გახლავთ. 1995-96 წლების ჩემპიონატში „ბულზმა" ჯექსონის ხელმძღვანელობით 72 თამაში მოიგო. ამ მაჩვენებელს იგი ახლაც მიუახლოვდა — 69. შეგახსენებთ, რომ ჩიკაგოელები ბოლოს ზედიზედ ორჯერ გახდნენ ტიტულის მფლობელები. მათ ფინალებში „სიეტლ სუპერსონიქსი" და „იუტა ჯაზი" დაამარცხეს.

კალათბურთელობისას ჯექსონი „ნიუ იორკ ნიქსში" გამოდიოდა, სადაც 1973 წელს პირველობა მოიპოვა. თამაშობდა „ნიუ ჯერსი ნეთსშიც". სპორტსმენის კარიერის დასრულების შემდეგ კი ორი სეზონის განმავლობაში „ჩიკაგო ბულზში" მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა.

რაც შეეხება გულშემატკივრებს, მათ კიდევ ორი სიახლის მოლოდინი აქვთ. ამბობენ, „ბულზიდან" ასხლეტილ ბურთთა მეფე, შერეკილი და თავისუფალი აგენტი დენის როდმანი და არანაკლებ სახელგანთქმული სკოტი პიპენი მიდიანო.



## ვლადიმერ სტეფანია ევროპის ვარსკვლავებში

ევროპის კალათბურთის ფედერაცია, ნბა-ს დარად, მეორედ ატარებს კალათბურთელების შერჩევას ევროპული „ოლ სტარისთვის". ფიბა აქვეყნებს ბიულეტენს იმ მოთამაშეების სიით, რომელთაგანაც მკითხველებმა ევროპის საუკეთესო მოთამაშეები უნდა შეარჩიონ. წელს ევროპის 56 საუკეთესო კალათბურთელს შორის, რომელთაგანაც „ოლ სტარის" ნაკრებები უნდა შედგეს, საქართველოს ნაკრებისა და ლიუბლიანის „ოლიმპიის" მოთამაშე ვლადიმერ სტეფანიაცაა. სიაში 12 იუგოსლაველია, 10 ბერძენი, 8 ესპანელი, 5 რუსი და, რა თქმა უნდა, ევროპაში მოთამაშე ნატურალიზებული და არანატურილიზებული ამერიკელები.

მიუნხენში ევროტურნირების წილისყრაზე კორაჩის თასზე მოასპარეზე საქართველოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორს რუსთავის „აზოტს" შესარჩევ ეტაპზე მეტოქედ ესტონეთის „ტალინი" ერგო.

რუსთაველები ესტონელებს 10 სექტემბერს უმასპინძლებენ, საპასუხო მატჩს ესტონეთში კი 17 სექტემბერს გამართავენ.

ჩემპიონმა და ვიცე-ჩემპიონმა, თბილისის „ვითამ" და „დინამომ" წელს ევროტურნირებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

# სოფელო, ჩვენო სოფელო

სანამ დამოუკიდებლობას მივაღწევდით, ასე გვეგონა, ჩვენი სოფელი ისე ღონიერია, მარტო ჩვენ კი არა, ორ-სამ მაღალგანვითარებულ ქვეყანასაც შეინახავდა. ამას კი ვამბობდით, მაგრამ იმას არ ვფიქრობდით, ვის ვგულისხმობდით სოფლის მოსახლეობაში. იქიდან ხომ მორბიან ახალგაზრდები და ჩვენს ქალაქებში იკარგებიან. სოფელში ახალგაზრდა არ გაჩერდება, თუ ელემენტარული პირობები არ შეუქმენი. ამ პირობებში სტადიონ-დარბაზებიც იგულისხმება. სწორედ ამის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბაკურ გულუას თაოსნობით წლეულს, თებერვალში, დაფუძნდა სოფლად სპორტის აღორძინების ასოციაცია. ასოციაციის პრეზიდენტი თავად ბატონი მინისტრია, პირველი ვიცე-პრეზიდენტი გივი ცქიტიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი როზა ბერიკაშვილი, გენერალური მდივანი დავით კინწურაშვილი.

ვიცე-პრეზიდენტებმა და გენერალურმა მდივანმა სამინისტროში გამართეს შეხვედრა ჟურნალისტებთან, სადაც გივი ცქიტიშვილმა ასოციაციის მიზნებზე და უკვე გაწეულ მუშაობაზე ისაუბრა. ასოციაციას დააფინანსებს სოფლად კულტურის, მედიცინისა და სპორტის აღორძინების ფონდი. როგორც გივი ცქიტიშვილმა აღნიშნა, ასოციაციის დაფუძნებას სოფლად დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. გამოკვეთილია სოფლად განვითარებისთვის უფრო მიზანშეწონილი სახეობები, რომელთაც უპირატესი ყურადღება მიექცევათ: ჭიდაობა, ფეხბურთი, კრივი, ველოსპორტი, მძლეოსნობა, ფრენბურთი, ცხენოსნობა, ცურვა, სპორტის ეროვნული სახეობები. გივი ცქიტიშვილმა აღნიშნა, ცურვის განსავითარებლად განსაკუთრებული ზრუნვაა საჭირო, რადგან როდესაც ძლიერ ჯარზე ვსაუბრობთ, ჯარისკაცმა წყალზე გაჩერება მაინც უნდა იცოდესო. სახეობების განვითარებაზე ასოციაცია ფედერაციებთან ერთად იზრუნებს.

ასოციაციის ეგიდით უკვე რამდენიმე ღონისძიებაა დაგეგმილი: 26 ივლისს ხაშურის რაიონში, სოფელ ოსიაურში ჩატარდება რაიონის სოფლების ნაკრები გუნდების პირველობა ქართულ ჭიდაობაში, 27 ივლისს ასეთივე ტურნირი მოეწყობა წყნეთში. მსგავსი შეჯიბრებები სხვა რეგიონებშიც ჩატარდება და 31 აგვისტოს თბილისში, სპორტის სასახლეში გამარჯვებული სოფლების ნაკრებები იასპარეზებენ.

25-28 აგვისტოს აბაშაში გაიმართება ტურნირი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში: მარულაში, ისინდში, დოღში.

მოკლედ, ასოციაციის ხელმძღვანელთა აზრით, სოფლად სპორტის აღორძინებას არა მარტო სპორტული, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საერთო ხელშეწყობა ევების.

**ქეთე მგალობლიშვილი**



## ფორმულა 1
### X ეტაპი
### გერმანიის დიდი პრიზი

„ჰოკენჰაიმის" ტრასა ერთ-ერთი უსწრაფესია, მის გრძელ, სწორ მონაკვეთებზე მაქსიმალური სიჩქარე 340 კმ-სთ-ს აღწევს. ტრასა დიდ ფიზიკურ დატვირთვას არ მოითხოვს სპორტსმენებისგან, მაგრამ მოსახვევის წინ ყურადღების მოდუნება, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. ტრასა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ძრავას, მუხრუჭებსა და საბურავებს, სწორი მონაკვეთების უმაღლესი სიჩქარით გასავლელად კი ბოლიდების იდეალური ბალანსირებაა საჭირო.




შარშან „რენოს" ძრავიანი ბოლიდების უპირატესობა აშკარა იყო. საუცხოოდ იასპარეზა გერჰარდ ბერგერმა, რომელსაც ფინიშამდე სამი წრით ადრე ძრავამ უმტყუნა და მხოლოდ ამის გამო დაუთმო პირველობა დეიმონ ჰილს. წელსაც „რენოს", „ფერარის" ან „მერსედესის" ძრავიანი ბოლიდის გამარჯვებას უნდა ველოდოთ, ფავორიტები კი, უდავოდ ვილნევი და შუმახერი არიან.

„ჰოკენჰაიმზე" შეკრებილი გულშემატკივრები, ცხადია, იტალიური გუნდის თანამემამულე მრბოლს მიემხრობიან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი წელს ჩემპიონატის ლიდერია, მიუხედავად იმისა, რომ წინა ეტაპზე, ინგლისის „სილვერსტოუნზე" ძრავის პრობლემების გამო რბოლა ვერ დაასრულა. „ძალიან მინდა, ეტაპი მოვიგო. მანქანა ჩინებულადაა გამართული — შარშანდელთან შედარებაც არ შეიძლება. ასე რომ, გამარჯვების დიდი იმედი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენცია დიდი იქნება. ინგლისში არ გამიმართლა, მაგრამ იქ დაკარგულს შინ ავინაზღაურებ" — განაცხადა შუმიმ. გერმანელის ოპტიმიზმით არც „უილიამსის" კანადელი პილოტი ჟაკ ვილნევი ჩამორჩება: „ტრასა ერთობ სწრაფია და უპირატესობა ჩვენ და „ფერარის" პილოტებს გვექნება. შუმახერთან პაექრობა დიდი სიამოვნებაა, ველდები, მის სამშობლოში ვაჯობო და კანადაში დამარცხებისთვის შური ვიძიო. მინდა, შემდეგ ეტაპს ჩემპიონატის ლიდერად შევხვდე". ამ ორ ფავორიტს არც ვილნევის თანაგუნდელი ჰაინც ჰარალდ ფრენცენი ჩამორჩა და თქვა, სამშობლოში რბოლა დიდი სიამოვნებაა, გულშემატკივართა იმედი მაქვს და ყველანაირად ვეცდები მათ გახარებასო. ფრენცენის დარად, ფანების იმედადაა შუმახერის უმცროსი ძმა რალფი, რომელიც ჯერჯერობით „ჯორდანის" საჭესთან ზის. რალფი ფორმულა 1-ში მონაწილეობისას პირველად ასპარეზობს მშობლიური ქვეყნის დიდ პრიზზე და როგორც გუშინ განაცხადა, შეეცდება, უფროსი ძმის შემდეგ მეორე გერმანელი გახდეს, ვინც რბოლას მოიგებს — 1995 წელს „ჰოკენჰაიმრინგზე" მიხაელმა იმარჯვა.

ნაოპერაციევი ბერგერი გერმანიის დიდ პრიზზე აპირებს დაბრუნებას, მისი შემცვლელი ვურცი კი, შესაძლოა, „ზაუბერის" საჭესთან ვიხილოთ. გასულ კვირას „მონცაზე" ტესტირებისას ბერგერს ავარია მოუხდა, მაგრამ არაფერი დაშავებია. მარცხს ვერც შუმახერი გადაურჩა — მას „ფერარის" საბურავი გაუსკდა. გერმანელმა მოახერხა ბოლიდის დამორჩილება და უვნებელი დაუბრუნდა ბოქსებს.

ყველა გააკვირვა ალენ პროსტის განცხადებამ — მან შესაძლოა, გუნდი დატოვოს. საქმე ისაა, რომ „პროფესორის" გუნდი მანი კურიდან ვერსალში აპირებს გადასვლას. ამას დირექტორატის ზოგიერთი წევრის უკმაყოფილება მოჰყვა, აქაოდა, ეს პოლიტიკური ნაბიჯიაო. რაიონი, სადაც მანი კური მდებარეობს, სოციალისტების „სამფლობელოა", „ლიჟიეს" ყოფილი შეფი მათი რჩეულის — პრეზიდენტყოფილ მიტერანის მეგობარიც იყო, „პროსტმა" კი მემარჯვენეთა რეგიონში — ვერსალში დაიდო ბინა. პროსტმა განაცხადა, რომ ვერავითარ პოლიტიკურ ზეწოლას ვერ აიტანს და გუნდის მართვისას მისი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იქნება.

მომავალი სეზონი კი ნელ-ნელა იკვეთება: გერმანელებმა 2001 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ეტაპი დაიბევეს — „ჰოკენჰაიმზე" გერმანიის დიდი პრიზისა და „ნიურბურგრინგზე" ლუქსემბურგისა. თანაც ლუქსემბურგში მათ თამბაქოს ნაწარმის რეკლამაც შეეძლებათ.

ცვლილებებია მოსალოდნელი „ბენეტონში" — მას, ალბათ, ორივე პილოტი დატოვებს. შესაძლებელია, ალეზი „ჯორდანში" ვიხილოთ, რომელიც მომავალ წელს ისევ „პეჟოს" ძრავებით აღიჭურვება. ფორმულა 1-ში მოსვლამდე ჟანი სწორედ ირლანდიური გუნდის წევრი იყო.

**ალეკო ჩაგუჩიანი**

| 27 ივლისი, „ჰოკენჰაიმი". |
|---|
| ტრასის სიგრძე 6,823 კმ. |
| რბოლის დისტანცია |
| 45 წრე — 307,022 |
| **შარშანდელი შედეგები:** |
| გამარჯვებული: ჰილი („უილიამს-რენო") 1:21.43,417 (225,410 კმ-სთ) |
| საუკეთესო წრე რბოლისას: ჰილი („უილიამს-რენო") 1.46,504 (230,628 კმ-სთ) |
| პოული: ჰილი („უილიამს-რენო") 1.43,912 (236,381 კმ-სთ) |



# კონსტანტინოვმა გამოიხედა
## გნიდი პოლიციას ვერ დაუძვრება

„ფრთების" მცველი ვლადიმერ კონსტანტინოვი კომადან კი გამოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ უგრძნობლადაა და ხანგრძლივი აღდგენითი კურსი სჭირდება — განაცხადეს ჰოკეისტის მკურნალმა ექიმებმა.

გეხსომებათ, კონსტანტინოვმა და კლუბის მუშაკმა სერგეი მნაცაკანოვმა თავის სერიოზული ტრავმები მიიღეს. მათ დეტროიტის შემოგარენში — ბირმინგემში შეემთხვათ ავარია, როცა ლიმუზინით შინ მიმავლები ხეს შეასკდნენ.

„უილიამ ბლომონტის" საავადმყოფოში მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე ექიმმა კაროლ ზაკალიკმა თქვა, რომ კონსტანტინოვმა იცნო ოჯახის წევრები და მეგობრები, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ლაპარაკობს.

„იგი უკეთ არჩევს ირგვლივ მყოფთ და გაცილებით მხნედ გამოიყურება, თუმცა, ყველაფრის გაცნობიერება უჭირს" — განაცხადა ზაკალიკმა.

კომადან ორი კვირის წინ გამოსული მნაცაკანოვის მდგომარეობა კი თანდათან უმჯობესდება. ორივე პაციენტი ისე გამოკეთდა, რომ მალე ინტენსიურიდან აღდგენით მკურნალობაზე გადაიყვანენ.

„აღდგენითი კურსი ორივესთვის ხანგრძლივი იქნება — თქვა ზაკალიკმა. — მათ სრულ გამოჯანმრთელებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია."

დეტროიტის კლუბის მესამე წევრი ვიაჩესლავ ფეტისოვი კი უმნიშვნელოდ დაზარალდა და ივნისშივე გამოწერეს საავადმყოფოდან.

ამ საქმეში პოლიციაც ჩაერია. წინა კვირას მათ განაცხადეს, რომ ლიმუზინის მძღოლის რიჩარდ გნიდის სისხლში მარიხუანას კვალი აღმოჩნდა. პოლიცია კვლავაც ატარებს ტესტებს და მხოლოდ შემდეგ წაუყენებს ბრალდებას მძღოლს. გნიდს, რა თქმა უნდა, არავინ აპატიებს ნარკოტიკების ტრფიალს. თუ ამას გადარჩა, პოლიციას სხვა საფუძველიც აქვს მის დასადანაშაულებლად — ვადაგასული მართვის უფლებით სარგებლობა.


იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე
ორგანული მინა.
3 და 4 მილიმეტრიანი.
ზომები: 80x120 სმ და 120x170 სმ
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 95-22-56
38-60-88 (საღამოს საათებში)

# ბერძნებმა თითები დაიკბინეს

ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კვირაც კი აღარ დარჩა, მაგრამ საბერძნეთში ფინანსური პრობლემები ჯერაც ვერ მოუგვარებიათ. სირთულეები გამოწვეულია ორგანიზატორთა შორის უთანხმოებით და მზადების დაწყების დაგვიანებით. ჩემპიონატის ჩატარება ათენს მას შემდეგ დაევალა, რაც უსახსრობის გამო მეხიკომ ამაზე უარი განაცხადა. მექსიკელები დროულად მიხვდნენ, რა მარყუჟში უყრიდნენ თავს, საბერძნეთში კი ანკესზე წამოეგნენ და ახლა ეს წამოწყება 36 მილიონი დოლარი უჯდებათ, სავარაუდო შემოსავალი კი მხოლოდ 7,3 მილიონია. თანაც ბერძნები ერთბაშად ორ ცეცხლზე იწვიან. საქმე ისაა, რომ სექტემბერში სოკ-ი 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს ირჩევს, ათენი კი ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია და აგვისტოში სურს დაამტკიცოს, რომ საუკეთესო კანდიდატია. ამიტომ ბერძნებმა ყოველგვარ დახმარებაზე უარი თქვეს, თუმცა 1995 წელს გიოტებორგის მსოფლიოს ჩემპიონატს IAAF-მა 7 მილიონი დოლარი გამოუყო. მალე კი აღმოჩნდა, რომ ფული ჰაერივით იყო საჭირო. მხოლოდ უსაფრთხოების ღონისძიებებს — 15 ათასი პოლიციელის დასაქმებას 4 მილიონი დასჭირდება.

ყველა პრობლემა შინაომმა გამოიწვია. სპორტის მინისტრის მოადგილემ ანდრეას ფურასმა და საბერძნეთის მძლეოსნობის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა სტრატოს მოლივასმა ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს იმის თაობაზე, ვის ეკუთვნოდა ჩემპიონატის მოწყობის უფლება. დრო გადიოდა, მზადების დაწყება კი კაცს არ მოფიქრებია. ბერძნები გონს გვიან მოეგნენ და ყველაფრის შეძენამ ცეცხლის ფასად მოუწიათ. ათენის ოლიმპიურ სტადიონზე სამუშაოები ახლაც კი მიმდინარეობს: აყენებენ ელექტრომოწყობილობებს, ცვლიან დამტვრეულ სკამებს, ღებავენ კედლებს და მას მედიისთვის სამუშაო ადგილებს აწყობენ.

„ჩემპიონატის ფინანსური კრახი სექტემბრის კენჭისყრაზე საბერძნეთის ოლიმპიურ ამბიციებს საეჭვოს გახდის. ოლიმპიადა 1,3 მილიარდი დოლარი დაჯდება და თუ ფინანსების ბოროტად გამოყენება და უაზროდ ფლანგვა მაშინაც მოხდება, ვალებიდან კარგა ხანს ვერ ამოვალთ" — ამბობს იანა დისკალაკი, ოლიმპიადის ჩატარების კომიტეტის პრეზიდენტი — „სავარაუდო შემოსავალი ხომ 1,6 მილიარდია." 1996-ში სოკ-მა ათენს ატლანტა არჩია. წლეულს კი რომის შემდეგ საბერძნეთის დედაქალაქი მთავარი ფავორიტია. თუმცა, სტოკჰოლმი, ქეიფთაუნი და ბუენოს აირესიც არ აპირებენ უბრძოლველად დათმობას.

საბერძნეთში გაჭირვების მოთმენის გარდა არაფერი დარჩენიათ. მსოფლიოს ჩემპიონატზე კენჭისყრის მონაწილე 110 სოკ-ის წევრი აპირებს დასწრებას და მათთვის პრობლემების თავს მოხვევა ათენს ვერაფერ სამსახურს გაუწევს. ამიტომ მასპინძლები ფინანსურ ხარჯებს არად დაგიდევენ და ჩემპიონატს დიდ თანხებს დაახარჯავენ. ათენის 80-ათასიან სტადიონზე 200 ქვეყნის მძლეოსნები იასპარეზებენ. საზეიმო გახსნის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებს „ოსკაროსანი" კომპოზიტორი ვანჯელისი, სპეციალური ეფექტებიც საგანგებო იქნება. „გვსურს, ეს ჩემპიონატი განსხვავებული და უფრო დიდი მასშტაბისა იყოს, ვიდრე აქამდე ჩატარებულები. ჩვენ მას ისე ვუყურებთ, როგორც მინი-ოლიმპიადას" — ამბობენ მასპინძლები.

**კახა არჯევანიძე**

# რუსები დიდ გულზე არიან

ათენში ვერ იასპარეზებს სამხტომში ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი ინა ლასოვსკაია. წლეულს ეს რუსი მძლეოსანი შესანიშნავ შედეგებს უჩვენებდა, მაგრამ წინა თვეში აქილევსის მყესი დაიზიანა და ოპერაციის გამო მთელი სეზონის გამოტოვება მოუწევს. რუსებს ათენში არც სპრინტერი ირინა პრივალოვა ეყოლებათ, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში მაინც მეორე ადგილს უმიზნებენ. რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის ვალენტინ ბალახნიჩევის თქმით, მათ ოქროს მედლების იმედი აქვთ 800 და 1500 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონის სვეტლანა მასტერკოვასგან, ჭოკით ხტომაში მაქსიმ ტარასოვისგან, აგრეთვე ესტაფეტებში და გრძელ დისტანციებზე სპორტულ სიარულსა და სირბილში. რუსებს ფინანსური პრობლემები კვლავაც აწუხებთ, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორდება თუ არა, დევიზი — „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას სპორტში მაინც" — ისევ ამოქმედდება. ამერიკელების წინააღმდეგ „საღვთო ომის" გამოცხადებას ბალახნიჩევი უკვე მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აპირებს. ჯერჯერობით კი რუსი მძლეოსნების მთავარ სტიმულად IAAF-ის მიერ გამარჯვებულთათვის დაწესებული ფულადი პრემიები რჩება, რომლებიც 60 ათას დოლარამდე აღწევს. „ქვეყანაში, სადაც საშუალო ხელფასი 150 დოლარია თვეში, ეს დიდი თანხაა" — ამბობს პრეზიდენტი.



# თითქმის ყველაფერი ცნობილია

24 ივლისი. მე-18 ეტაპი. კოლმარიდან მონბელიარამდე. 175,5 კილომეტრი.

მე-8 ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფმა რიშარ ვირანკმა განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი შანსი იყო იან ულრიხთან ჩამორჩენის ასანაზღაურებლად და თავს არ დაზოგავდა. „ფესტინას" გუნდის ლიდერმა მართლაც მძლავრად დაიწყო რბოლა და ტურის ლიდერს ნახევარი წუთითაც გადაასწრო, მაგრამ მეტი ვერაფერი მოახერხა: გადაღლილი ბიარნე რიისის მაგივრად ულრიხს „ტელეკომელები" — უდო ბოლტსი და ერიკ ცაბელი დაეხმარნენ წინ გაჭირილი ფრანგის დაწევაში. ვირანკი კი ჩამოიტოვა, მაგრამ ახლა წინ კიდევ ერთი „ფესტინელი", ასევე ფრანგი დიდიე რუ გავარდა. შუა დისტანციაზე უახლოეს მდევარს იგი 3 წუთს უგებდა, მაგრამ ამის შემდეგ დღის ერთადერთ რთულ აღმართზე უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და ფინიშის ხაზი სხვებზე 5 წუთით ადრე გადაკვეთა. რაც შეეხება ლიდერებს, ისინი ერთმანეთის თვალთვალით უფრო იყვნენ დაკავებულნი და გაქცევა აღარცერთს უცდია. მათ რბოლა პელოტონთან ერთად დაასრულეს 5 წუთის და 29 წამის დაგვიანებით, ასე რომ, ლიდერთა სამეულში კვლავ არაფერი შეცვლილა.

როგორც ცნობილი გახდა, „ფესტინას" ისედაც ძლიერ გუნდს გაისად კიდევ ერთი კარგი მრბოლი შეემატება. შვეიცარიელმა ალექს ცულემ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის ღირებულებაც 6,7 მილიონი დოლარია. გუნდის ლიდერი რიშარ ვირანკი ამ ცნობამ თურმე ძალზე გაანაწყენა, ცულე პირველობაში შემეცილებაო.

საქმე ისე მიდის, რომ გუნდური პირველობის გარდა, ყველა მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელი ლამის წინასწარაა ცნობილი. იან ულრიხს ტრავმა თუ შეუშლის ხელს, გახდეს ტურის პირველი გერმანელი ჩემპიონი, მისი თანაგუნდელ ერიკ ცაბელი ქულების ჩათვლის მწვანე მაისურს, ალბათ, არავის დაუთმობს. რიშარ ვირანკი ულრიხს საერთო ჩათვლაში ვერ ერევა, მაგრამ „მთის მეფის" დაწინწკლულ მაისურს ნაღდად აღარ შეელევა. აი, გუნდურ პირველობაში კი პირველ ადგილზე მყოფ „ტელეკომს" „მერკატონე უნო" და „ფესტინა" უდგანან კვალში და რბოლის დასასრულამდე პირველობის წასართმევად ძალას არ დაიშურებენ.

მე-18 ეტაპი: 1. დიდიე რუ 4:24,48 (საშუალო სიჩქარე 39,765 კმ-სთ); 2. პასკალ ერვი (საფრანგეთი) +5,09; 3. ბობი ჯულიჩი (აშშ) +5,10; 4. ლორან რუ (საფრანგეთი); 5. ანხელ კასერო (ესპანეთი); ჟან-სირილ რობინი — ყველას იგივე დრო; ლორან დიუფო (შვეიცარია) +5,12; დანიელ ნარდელო (იტალია) +5,14.

25 ივლისი. მე-19 ეტაპი. მონბელიარიდან დიჟონამდე. 172 კმ.

1. მარიო ტრავერსონი (იტალია) 4:03,17; 2. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი); 3. ფრანკო სალიგარი (იტალია); 4. კრისტიან ჰენი (გერმანია); 5. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) — ყველას იგივე დრო.

საერთო ჩათვლა

1. იან ულრიხი (გერმანია) 95:19,17; 2. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი) +6,22; 3. მარკო პანტანი (იტალია) +10,13; 4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +16,05; 5. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) +16,40.

**ლევან ჩხეიძე**



# ესპანელთა მონდოლოზა

## ჰინგისი ენითაც დაუნდობელია

კიცბიუელი (ავსტრია). „ჯენერალ ოუფენ". ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 525 ათასი დოლარი.

**მესამე წრე:** სლავა დოსედელი (15, ჩეხეთი) — ტომას მუსტერი (1, ავსტრია) 2:6, 6:3, 6:4; მარსელო ფილიპინი (9, ურუგვაი) — ჰიშამ არაზი (7, მაროკო) 6:3, 6:1; ხულიან ალონსო (ესპანეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:3, 6:2; ერნან გუმი (არგენტინა) — ჰენდრიკ დრეკმანი (გერმანია) 6:3, 6:0; შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ნიკოლა ლაპენტი (ეკვადორი) 7:5, 6:3; გალო ბლანკო (ესპანეთი) — ალექს კორეჩა (3, ესპანეთი) 7:6, 7:5; ფილიპ დევულფი (10, ბელგია) — ხუან ალბერტ ვილოკა (8, ესპანეთი) 6:4, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — რენცო ფურლანი (იტალია) 7:6.



არგენტინა — ბრაზილია, საჩოგბურთო ვარიანტი: ერნან გუმიმ კერტენი დაამარცხა

ორი წლის წინ ტომას მუსტერი „თიხნარის მეფედ" იწოდებოდა და ამ საფარზე დამარცხება არ ეწვნია. შარშან ავსტრიელის შედეგებმა ამ საფარზე ოდნავ იკლო, წელს კი 18 შეხვედრიდან 9 გამარჯვებაღა მოიპოვა. ხუთშაბათს მესამე წრის შეხვედრაში მუსტერს მშობლიურმა კედლებმაც ვერ უშველა და სამ სეთში დამარცხდა ჩეხ დოსედელთან. მეტოქემ იგი მიღებაზე ბრწყინვალე თამაშით დააბნია, რაც მით უფრო გასაკვირია, რომ მუსტერი წელს გაცილებით სწრაფად აწოდებს. მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს დამარცხებამ ისე დაწყვიტა გული, რომ ამ სეზონში სხვა თიხნარის საფარიან ტურნირებზე თამაში იუარა და ამერიკის ღია ჩემპიონატის წინ ჰარდზე მოსინჯავს ძალებს. წლეულს იგი სწრაფ საფარზე უკეთ ასპარეზობს და უკვე ორი ტიტულიც მოიპოვა დუბაისა და ქი-ბისქეინში.

კიდევ ერთი ბობოლა მსხვერპლი ამ დღეს ალექს კორეჩა გახდა. ესპანელს წლევანდელი როლან გაროსის მეოთხედფინალისტმა, თანამემამულე გალო ბლანკომ მოუგო. მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა და ბოლოს კორეჩას დაღლა დაეტყო, რაც გასაკვირი სულაც არ არის. მან ხომ წინა ორ კვირაში საკმაო ოფლი ღვარა: გშტაადში ნახევარფინალში იყო, შტუტგარტში კი სულაც ჩემპიონი გახდა. გავარდა შვეიცარიის ღია პირველობაზე კორეჩას მძლეველი ხუან ვილოკაც. მას ადვილად სძლია როლან გაროსის კიდევ ერთმა აღმოჩენამ — ბელგიელმა ფილიპ დევულფმა. გუსტავო კერტენის დამარცხების შემდეგ ერნან გუმიმ გერმანელი დრეკმანიც გაანადგურა და მეოთხედფინალს მიაღწია. კაფელნიკოვ — ფურლანის მატჩი ხუთშაბათს წვიმის გამო გადაიდო, მერე კი რუსის გამარჯვებით დასრულდა.

**მეოთხედფინალები:** დოსედელი — ფილიპინი 7:5, 6:4; ალონსო — გუმი 4:6, 6:3, 7:6 (7:5); დევულფი — კაფელნიკოვი 7:5, 7:5; ბლანკო — კუბეკი 6:7 (6:8), 6:2, 6:4.

ხორვატიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 400 ათასი დოლარი.

**მესამე წრე:** პოლ ჰაარჰიუსი (8, ჰოლანდია) — მარციო მარტელი (იტალია) 6:1, 6:3; დომინიკ ჰრბატი (5, სლოვაკეთი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 6:0, 6:2; სერხი ბრუგერა (1, ესპანეთი) — ანდრეი მერინოვი (რუსეთი) 6:0, 6:1; ფელიქს მანტია (3, ესპანეთი) — დავიდ კაბალერო (ესპანეთი) 6:3, 6:3, ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) 6:3, 6:4; ალბერტ პორტასი (7, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6, 6:1; ხავიერ სანჩესი (4, ესპანეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:4; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 2:6, 6:2, 7:5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპინძელ გორან ივანიშევიჩის არყოფნაში ესპანელებმა აიწყვიტეს. ისევე როგორც შტუტგარტში, მეოთხედფინალში ამ ქვეყნის წარმომადგენელი იასპარეზებს. მესამე წრეში არც დაძაბული მატჩები ყოფილა და არც სენსაციები მომხდარა. ტურნირს ერთადერთი განთესილი გამოაკლდა — შტუტგარტის ფინალისტი კაროლ კუჩერა, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ესპანელმა მოუგო. გადაღლილ სლოვაკს ალბერტო მარტინის გასამკლავებლად ძალა აშკარად არ ეყო — 3:6, 4:6. ესპანური იყო ერთადერთი სამსეთიანი მატჩიც. კარლოს მოიას, რომელიც ჯერჯერობით უძვრება სამხედრო სამსახურს, დიდი წინააღმდეგობა გაუწია თანამემამულე ფერნანდო ვისენტემ, მაგრამ სადაც ბეკერი და ჩანგი ვერას გახდნენ, ის რას გამორჩებოდა: 2:6, 6:2, 7:5. ესპანურ ნიაღვარს ჯერ მხოლოდ ჰოლანდიელი ჰაარჰიუსი და სლოვაკი ჰრბატი არ წაულეკავს, თუმცა, შესანიშნავად მოასპარეზე ბრუგერასა და მანტიასთან გამკლავება მეტად ძნელია.

ლოს ანჯელესი. „ინფინითი ოუფენ". ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 328 ათასი დოლარი.

**მერვედფინალები:** ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) — ვინსენთ სფადეა (აშშ) 7:6, 6:1; გიიომ რაუ (საფრანგეთი) — ფატრიქ რაფთერი (5, ავსტრალია) 6:4, 7:6; კენეტ კარლსენი (დანია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 3:6, 6:3; გორან ივანიშევიჩი (1, ხორვატია) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) 7:5, 7:6; რიხარდ კრაიჩეკი (4, ჰოლანდია) — გლენ ვაინერი (აშშ) 7:5, 6:7, 7:6; ჯიმ კურიე (6, აშშ) — მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) 7:6, 6:3; ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) — ჯასთინ გიმელსთობი (აშშ) 6:2, 7:6.

ტომას ენკვისტი აქამდე სფადეას ორჯერ შეხვედროდა და ორჯერვე წააგო. შვედი ტრავმის გამო კარგა ხანი არ ასპარეზობდა, მაგრამ ამჯერად უხერხული მეტოქის დასამარცხებლად სულ 67 წუთი დასჭირდა. „პირველი სეთის თაი-ბრეიქი რომც წამეგო, ვგრძნობდი, რომ მატჩის ბედი მაინც ჩემს ხელთ იყო" — თქვა შვედმა. მეორე სეთში თავის 4 მოწოდებაზე ენკვისტმა ერთადერთი ქულა წააგო, მეტოქეს კი 2 ბრეიქი გაუხერხა. ამ ბოლო ხანებში ერთობ ცუდად ასპარეზობს ავსტრალიელი ფატრიქ რაფთერი. როლან გაროსის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ მას მნიშვნელოვანი გამარჯვება არ მოუპოვებია და მუდამ მასზე სუსტ, დაბალი კლასის მეტოქეებთან მარცხდება. ფრანგმა რაუმ მას ორ სეთში სძლია — 6:4, 7:6. წააგო ჩვენმა მეზობელმა სარგის სარგსიანმაც. იგი დანიელმა კენეტ კარლსენმა იმსხვერპლა.

პირველად განთესილ გორან ივანიშევიჩს ბოლო სლემის ტურნირებზე ხელი მოეცარა: როლან გაროსიდან პირველივე წრეში გავარდა, უიმბლდონიდან კი — მეორეში. მარცხის სიმწარის დავიწყება „მისტერ ეისს" იახტით მოგზაურობით და ხორვატიის მახლობელ კუნძულებზე მეგობრებთან ერთად გართობით უცდია. დასვენება ვის არ შველის და გორანიც ძალამოკრებილი დაუბრუნდა ATP ტურს, მაგრამ კვირის დასაწყისში მუცლის გრემა მოერია და წყვილთა ასპარეზობაში გამოსვლა ვერ მოახერხა. პირველ წრეში მან მაინც დაამარცხა სამხრეთაფრიკელი გოლდვინი, მერვედფინალში კი ფრანგ ოლივიე დელეტრთან ძალიან გაუჭირდა. „პირველი მოწოდებები არ გამომდიოდა და ბევრ შეცდომასაც ვუშვებდი უკანა ხაზზე, თუმცა, გადამწყვეტ წუთებში როგორღაც მოვახერხე ძალების მობილიზება. დღეს, როგორც იქნა, სიცხემ მიკლო, მაგრამ საუკეთესო ფორმისგან მაინც შორს ვარ" — თქვა 7:5, 7:6 მოგებული მატჩის შემდეგ ივანიშევიჩმა.

ძლივს გადაურჩა გავარდნას ჰოლანდიელი რიხარდ კრაიჩეკი. ამერიკელ ვაინერთან მატჩში მესამე სეთის მეათე გეიმში მან ოთხი მატჩ-ფოინთი გადაარჩინა და თაი-ბრეიქამდე გაჭირვებით მიატანა.

საბოლოოდ ... 2 საათიან და 15-წუთიან შეხვედრაში მას 24 ეისი დაუგროვდა და მისთვის სასურველ დასასრულს სწორედ მძლავრ მოწოდებას უნდა უმადლოდეს. ანდრე აგასის გამნაწყენებელმა ჯასთინ გიმელსთობმა კი ზიმბაბველ ბაირონ ბლექთან ვერაფერი გააწყო, რაკილა 11 ორმაგი შეცდომა დაიგროვა. „სკადად" წოდებულმა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა მერვედფინალში თანამემამულე სენდონ სთოლი დაამარცხა.

სთენფორდი. კალიფორნია. „ვესთ ბანკი". ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.

სთენფორდში ქალთა ჩოგბურთის ელიტამ მოიყარა თავი. „ვესთ ბანკის" ტურნირი 1971 წლიდან ტარდება და ქალთა უძველესი პროფესიული შეჯიბრებაა. აქამდე მან ორჯერ შეიცვალა ადგილ-სამყოფელი და სთენფორდის კორტებზე პირველად დაიდო ბინა. სწორედ ამ ტურნირში მოიპოვა ამჟამინდელმა პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა აშშ-ში პირველი ტიტული — შარშან მან მონიკა სელეში გაანადგურა 6:2, 6:0. მაშინდელი ფინალი, შესაძლოა, წლეულსაც განმეორდეს, რაკილა ორივე ჩოგბურთელი ახლაც ასპარეზობს, თუმცა, პირველი წრის მატჩებისგან გათავისუფლებულნი იყვნენ.

პირველ წრეში მხოლოდ ერთი მოულოდნელობა მოხდა: ლუქსემბურგელმა ანა კრემერმა მეხუთედ განთესილი ფრანგი მარი პირსი დაამარცხა 3:6, 6:1, 6:4. თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ მშვენიერ მარის მარჯვენა მკლავი სტკიოდა და მესამე სეთში შეხვევაც დასჭირდა.

**მერვედფინალები:** მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:1, 6:2; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — მეილენ თიუ (აშშ) 6:2, 6:0; ლინდსი დევენფორთი (4, აშშ) — სანდრა საკიჩი (აშშ) 6:2, 6:2; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ლაიზა რეიმონდი (8, აშშ) 6:4, 6:3; კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:1, 6:1; მონიკა სელეში (2, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:2, 6:1; ქიმბერლი ფო (7, აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:1; ლინდა უაილდი (აშშ) — ანა კრემერი 6:3, 6:4.



ანა კრემერისგან პირსის დამარცხებას არავინ ელოდა

მარტინა ჰინგისმა წლეულს ყველა მეტოქე საშინლად დაიბრიყვა. ოთხშაბათს შვეიცარიელი გოგო ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს, ბულგარელ მეგი მალეევას ხვდებოდა. მარტინას არცერთი საკუთარი მოწოდება არ წააგო, 6 ეისი გააკეთა და 50 წუთში მოითავა საქმე — 6:1, 6:2. ჰინგისმა მეტოქე ინტერვიუს დროსაც არ დაინდო — მატჩის დროს ისე მომწყინდა, მეზობელ კორტზე კუტცერის თამაშს დავუწყე ცქერაო. მარტინას მეტოქე მეოთხედფინალში მასპინძელი ლინდა უაილდი იქნება, რომელმაც პირსის მძლეველ კრემერს მოუგო. მონიკა სელეშმა იტალიელ რიტა გრანდესთან თამაში ცუდად დაიწყო, მაგრამ პირველი სეთის 2:2-დან აიწყვიტა და ზედიზედ 9 გეიმი მოიგო. მან მოკლე დარტყმებით მეტოქეს სიქა გააცალა და მატჩის შემდეგ ათქმევინა, მონიკა ჩემთვის ზედმეტად სწრაფად, მძლავრად თამაშობსო.

ერთადერთი მოულოდნელობა ის იყო, რომ ლიხოვცევამ მერვედ განთესილი ლაიზა რეიმონდი დაამარცხა 6:4, 6:3, თუმცა, რუსს უდავოდ ძნელი მატჩი ელის ატლანტის ოლიმპიურ ჩემპიონ ლინდსი დევენფორთთან.

**გაიოზ ბერიძე**

# საქართველოს პირველობა

## „ა“ ჯგუფის XIII ტური

23. 07. ვაკე. გუმარი 11 (6) (ლ: აბაშიძე; 2ს: ურჯუკაშვილი) — რუსთავის აზოტი 22 (14) (3ლ: რაფავა 2, ფირცხალავა; 2გ და ს: ე. ძაგნიძე). მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 10 | 9 | 1 | 0 | 220: 94 | 24- 7 | 19 |
| აზოტი (რ) | 11 | 9 | 1 | 1 | 238:101 | 31- 5 | 18 |
| ქორები | 10 | 6 | 0 | 4 | 210:129 | 23-11 | 12 |
| აია-ვეი (ქ) | 8 | 5 | 0 | 3 | 162:115 | 20- 9 | 10 |
| ასკ | 11 | 3 | 0 | 8 | 141:305 | 18-47 | 6 |
| გუმარი | 12 | 4 | 0 | 8 | 196:212 | 23-22 | 6 |

პირველი ეტაპის ბოლოს გუნდებს 12-12 თამაში ექნებათ

სამშაბათს, 29 ივლისს „ყოჩები“ და „ქორები“ XIV ტურის პროგრამით ითამაშებენ, ოთხშაბათს კი ქუთაისის „აია“ ზესტაფონში გამოტოვებულ მატჩს გაუმართავს „აზოტს“.

## „შევარდენს“ თამაში ენატრება

| ბ ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 6 | 6 | 0 | 0 | 100: 14 | 15- 1 | 12 |
| დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 58: 80 | 5- 6 | 5 |
| უნივერსიტეტ-ლელო | 6 | 1 | 2 | 3 | 73:120 | 2-12 | 4 |
| თბილისი | 6 | 1 | 0 | 5 | 58: 75 | 3- 9 | 0 |

უთუოდ ზედმეტი ხარჯის თავიდან ასაცილებლად „თბილისი“ არც მეორე წრეში ეთამაშა უკონკურსოდ მონაწილე „შევარდენს“, რომელიც ამავე მიზეზით მიატოვა ოთხმა ძლიერმა მოთამაშემ და ასკ-ში დაბრუნდა. ერთი სიტყვით, 100 ლარის დროით გადაუხდელობა ალმდგარ „შევარდენს“ იმად დაუჯდა, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ სამი თამაშის გამართვა მოახერხა.

### შავი დაფა

ორმხრივი ჩხუბისთვის თითო თამაშით იქნენ დისკვალიფიცირებული კახა მაჩიტიძე (ყოჩები) და შოთა მოდებაძე (გუმარი), აგრეთვე გიორგი ასათიანი (ქორები) და კახა გაბრიჩიძე (აია).

# სამეულის სერიალი

რაგბი ავსტრალიას თანდათან იპყრობს. ვიქტორიის შტატის პრემიერი ჯეფ ქენეტიც დიდი თარიფათიანი კაცია: შტატის ცენტრ მელბურნის ქვეყნის სპორტულ დედაქალაქად ქცევა რომ დაუპირებია, სიდნეისა და ბრისბენისთვის წაურთმევია სეზონის უმთავრესი თამაში — ავსტრალიის „ვოლაბთა“ და ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ შეხვედრა, რომელიც არა მარტო ბლედისლოუს თასის მეორე ტესტია, არამედ სამეულის სერიალის მეორე ტურის მატჩიც.

თამაში ავსტრალიის სპორტის ტაძარში — მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე“ (MCG, ემ-სი-ჯი) დღეს გაიმართება. ეს სარბიელი კრიკეტის გარდა 18-კაცა ავსტრალიური ბურთაობის მექაცაა. მასზე ყოველ ვიქენდზე მობურთალთა ორი-სამი თამაში იმართება, მაგრამ წელს რაგბის კავშირი გაურიგდა ბურთაობის ლიგა აფლ-ს და XVII ტურის უქმეებზე მისივე ლოცაკურთხევით არა-სარაგბო ვიქტორიის თავის რჯულზე მიქცევას ეცდება.

## ვიქტორიას რაგბს აყვარებენ




ცოდვა გამხელილი ჯობს და აქამდე ვიქტორიელებს თურმე სირაქლემას პოზა ეჭირათ — თავიანთი საპაერო ბურთაობის გარდა თამაშს არა ცნობდნენ.

მელბურნში გამოცემულ სქელტანიან სპორტულ ენციკლოპედიაში ბლედისლოუს თასი ნახსენებიც არა ქონიათ, მაგრამ მერე ისე მოხიბლულან „ოლ ბლექსის“ ხილვისა და ძლევის პერსპექტივით, რომ თამაშის 100 ათასივე (!) ბილეთი მარტში ორ დღე-ღამეში დაუტაციათ, ახლა კი ზოზინა გულშემატკივრები თურმე ხუთმაგ ფასზეც კი ყაბულს ყოფილან, „ემ-სი-ჯი“-ზე როგორმე რომ მოხვდნენ. შევნიშნოთ, რომ ბილეთის საშუალო ფასი ჩვენებურად 80 ლარია, ამდენი დამსწრე კი აქამდე რაგბის მატჩს ოფიციალურად არა ჰყოლია არათუ ავსტრალიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

იმ 100 ათას ბედნიერში სტუმარი მრავლად იქნება. მელბურნელები თურმე ამათ ისეთ მოზღვავებას განიცდიან, რომ ოტელთა უმეტესობაზე უკვე ცარიელ ადგილთა უქონლობის ნიშანია გამოკიდული, ბრაზილიური საცეკვაო ანსამბლი „ობა-ობა“ კი, ავსტრალიაში წარმოდგენებს რომ მართავს, რაგბის ვიქენდზე სასტუმროდან თეატრში გაუსახლებიათ.

მეტიც, ბურთაობის კლუბ „ვეფხვების“ პრეზიდენტი გაწყრომია სრულიად-ავსტრალიურ „მეშვიდე არხს“, შაბათს ადელაიდაში კი ვთამაშობთ, მაგრამ რაგბის ცქერას მაინც ვეშურებით და პირდაპირ რეპორტაჟს იქ რად არ გვიწყობთო.

„ვოლაბებს“ ფანატიკური მხარდაჭერა გარანტირებული აქვთ. მათ „ოლ ბლექსი“ 1994 წლის აგვისტოდან ველარ დაუმარცხებიათ. ამ სამი კვირის წინ ბლედისლოუს თასის პირველი ტესტიც ქრაისთჩერჩში 13:30 წააგეს. იმ მატჩში ზელანდიის შერკინებამ თავიდან მაგრად დაჯაბნა ავსტრალიისა, მაგრამ შესვენების შემდეგ „ვოლაბებმა“ რომ შეუტიეს, მასპინძლებმა მცირე-მცირე ფოლებით გააფუჭეს თამაში.

ამან ავსტრალიის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მათ ნათამაშევს საჯაროდ მრავალგზის მოუწოდეს ინგლისელ მსაჯ ედ მორისონს, ჩვენს მეორე თამაშს რომ გაუძღვება, რამე ილონეო. ბედად, სერიალ-



ში რიგითი ტესტისგან განსხვავებით თურმე მაინც მოქმედებს სინ-ბინი — მოედნიდან 10 წუთით გაძევება. მოკლედ, „ოლ ბლექსი“ ლაჩრულ ტაქტიკას ველარ გამოიყენებს.

ქრაისთჩერჩში მორისონი დაიღალა ზელანდიის კაპიტნის, კვაჭ შონ ფითსპატრიქის დანამუსებით. 34 წლისა და 88 კაპოსანი „ფითსის“ თამაში დღეს საეჭვოა, რადგან ერთი კვირის წინ სამხრეთი აფრიკის საარაკო, 35:32 ძლევისას მუხლი მძიმედ დაიშავა. გუნდის ექიმები კაპიტნის დროით მომჯობინების შანსებს იოტისოდენად აფასებენ, მაგრამ თავად მოთამაშე იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, შაბათს საომრად მზად ვიქნებიო. ამის გამოა, რომ „ოლ ბლექსის“ მწვრთნელი ჯონ ჰართი კვაჭის ვინაობის გამოცხადებას სულ ბოლო მომენტში აპირებს. თუ შონი მაინც ვერ მოკეთდა, მას კვლავაც ნორმ ჰიუითი შეენაცვლება, კაპიტანი კი 8 ნომერი ზინზან ბრუქი იქნება.

სტუმრებს უკანა ხაზში ორი ახალი მოთამაშე ეყოლებათ: უვარგის სთენხნესს შუამარბად შეცვლის იერემაია, ნეკნებშენგრეულ უმაგას კი — ეშხიანი და მარჯვე ოზბორნი.

სიახლეა ავსტრალიის თხუთმეტეულშიც. შერკინებაში სამი სიდნეელი დააწინაურეს — ბურჯები ჰარი და ჰისი და 8 ნომერი მაიქლ ბრაიალი. ამ ზორბა ჭეელს წელს ნაკრებში არ უთამაშია, რადგან ზე-12-ში მშობლიურ „ვორათაზ-შიც“ ვერ ხვდებოდა, მაგრამ „ვოლაბთა“ მწვრთნელ გრეგ სმითს მაინც მისნაირი აგრესიული და უტეხი ბიჭების იმედი აქვს:

შარშან არ იყო, ბრაიალმა ხელი რომ წაატანა „ოლ ბლექსის“ ზებერ ჭადოქარ ფრენკ ბანსს, რვა წამი მუშტები სულ სიფათში უშინა, თუმცა მსაჯი თავს ადგა და გამეტებით უსტვენდა.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

სამი საათით დაგვიანებულ რეპორტაჟს „სთარ თი-ვი“ საქართველოს დროით 18 საათიდან გადმოცემს. ჩანაწერს მერე სამჯერ გაიმეორებენ: კვირას 02.00 და 11.30, ორშაბათს კი — 07.00 საათზე. ერთი სიტყვით, რაგბისა და საზოგადოდ ბურთაობათა თბილისელი მოყვარულები კვლავაც ბახტრიონის VII არხის იმედად იქნებიან.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

| 16 ტურის შემდეგ | მ | ბ% |
|---|---|---|
| ჯილონგის კატები (6) | 11 | 116.8 |
| დასავლეთელი ბულდოგები (1) | 10 | 102.2 |
| * ადელაიდის ყვავები | 9 | 117.6 |
| სენთ-ქილდას წმინდანები (1) | 9 | 113.7 |
| * ბრისბენის ლომები | 9 | 113.2 |
| * სიდნეის გედები (3) | 9 | 105.7 |
| * პორტ-ადელაიდის ძალა | 9 | 99.6 |
| ჩრდ. მელბ. კენგურუები (3) | 8 | 105.5 |
| * პერთის არწივები (2) | 8 | 102.9 |
| კარლტონის ლურჯები (16) | 8 | 99.4 |
| პოვსორნის ძორები (9) | 8 | 96.3 |
| * ფრიმენთლის დოკერები | 8 | 93.8 |
| ქოლინგვუდის კაჭკაჭები (14) | 7 | 114.0 |
| ესენდონის ბომბდამშენები (15) | 6 | 93.8 |
| რიჩმონდის ვეფხვები (10) | 6 | 82.1 |
| მელბურნის დემონები (12) | 3 | 59.9 |

() პირველობის რაოდენობა. * ახალი, არა-ვიქტორიული გუნდები. გედები სიდნეიში სამხრ. მელბურნიდან გადავიდნენ

დასასრულ ავსტრალიური ბურთაობაც მოვიკითხოთ.

თუ რაგბი ვიქტორიაში შეჭრას ცდილობს, ბურთაობა იქედან უკვე მთელ ქვეყანაში გავრცელებულა. აფლ-ის წრიული ეტაპის ბოლომდე ექვსი ტურიღა რჩება, პირველობაზე გამსვლელ მოწინავე რვეულში კი ნახევარი არა-ვიქტორიული გუნდები არიან.



თუ აქამდე „ემ-სი-ჯი“-ზე „ქორები“ და „კატები“ ბურთის ალალად დასაჭერად აიჭრებოდნენ ცაში, დღეს „ვოლაბები“ და „ოლ ბლექსი“ დერეფანში ახტებიან

# უცხო ხილები

ყარაჩიდან კვლავ შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველმოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი **ყაფლან ჯანდიერი**



მსოფლიო სპორტის შორეველი ქომაგის ელექტრო-ბარათები



## მთელ მსოფლიოში ნანატრი სასიძო

კვირას ერთბაშად ორი დიდი შეჯიბრი დასრულდა. შოტლანდიაში ეშხიანმა გოლფის მოთამაშეებმა ბრიტანეთის პირველობა გაითამაშეს, იაპონიაში კი ზორზოხმა სუმოს მოჭიდავეებმა — მორიგი დიდი, 15-დღიანი ფალავნობა.

ბრიტანეთის პირველობა 1860 წლიდან 126-ედ გაიმართა. 1923, 1950, 1962, 1973, 1982 და 1989 წლების დარად მას მასპინძლობდა შოტლანდიის საგრაფო ერშირში გაშენებული როიალ-თრუნის კლუბი, რომლის გზის სიგრძე 7079 იარდია, პარი (სანიმუშო შედეგი) კი — 71 დარტყმა. წლევანდელი საპრიზო ფონდმა 2,69 მილიონი US$ შეადგინა.

ბრიტანეთის პირველობა წლის მესამე მეიჯორი ანუ ძირითადი შეჯიბრია. აპრილში აშშ-ის საოსტატო მოიგო მულატმა ვუნდერკინდმა თაიგერ ვუდზმა (აშშ), ივნისში აშშ-ის ღია პირველობა — ერნი ელსმა (სამხრ. აფრიკა). ბოლო, მეოთხე მეიჯორი — აშშ-ის პროფ-ასოციაციის პირველობა აგვისტოში გაიმართება.

გოლფში დიდი სლემის განხორციელება აბსურდია. თაიგერსაც კი მეორე ნაბიჯზევე წაუცდა ფეხი და ვერც ბრიტანეთში ითამაშა ხეირიანად. ვერც მასპინძელთა ჯილამ — ქოლინ მონთგომერიმ ივარგა და ვერც ბევრმა სხვამ. აქ ყველას ამბის მოთხრობით თავი რომ არ შევაწყინოთ, მოწინავეთა და დიდ მოთამაშეთა შედეგები ცხრილად მოგვაქვს.

1. ჯასთინ ლენარდი (აშშ) (69, 66, 72, 65) 272, -12, 418 875 US$; 2-3. იესპერ პარნევიკი (შვედეთი) (70, 66, 66, 73) და დარენ ქლარქი (ჩრდ. ირლანდია) (67, 66, 71, 68) 275, -9, 251 325 US$; 4. ჯიმ ფიურიქი (აშშ) 279, -5, 150 795 US$; 5-6. პოდრეგ პარინგთონი (ირლანდია) და სთივენ ეიმზი (ტრინიდად-ტობაგო) 280, -4, 104 719 US$;

7-9. პიტერ ომალი (ავსტრალია), ედუარდო რომერო (არგენტინა) და ფრედ ქაფლზი (აშშ) 281, -3, 66 137 US$; 10-19. მარკ კალკავეკია (აშშ), ერნი ელსი (სამხრ. აფრიკა), თომ ვოთსონი (აშშ), ... 282, -2, 40 175 US$; ... 24-31. თომ ლეიმანი (აშშ), ქოლინ მონთგომერი (შოტლანდია), იენ ვუზნემი (უელსი), ფილ მაიქელსონი (აშშ), თაიგერ ვუდზი (აშშ) 284, =0, 17 362 US$; ... 36-37. გრეგ ნორმანი (ავსტრალია) 287, +3, 13 320 US$; 38-43. ბერნჰარდ ლანგერი (გერმანია) +4, 288, 12 650 US$; ... 51-58. ნიკ ფალდო (ინგლისი) +7, 291, 10 315 US$; 59-61. ჯეკ ნიკლაუსი (აშშ) +9, 293, 9 634 US$; ...

ახალი ჩემპიონი (აპ-ის ფოტოზე) 25 წლისაა, დალასშია (ტეხასი) დაბადებული და იქვე ცხოვრობს. პროფესიონალი მეოთხე სეზონია. 1992 წელს აშშ-ის სამოყვარულო პირველობა აქვს მოგებული. პროფესიულ ასპარეზზე ტურნირში მესამედ გაიმარჯვა. აშშ-ის ტურზე თითქმის 2,5 მილიონი დოლარი მოუხვეჭია. უყვარს თევზაობა. ტანად 175 სანტიმეტრია და 73 კილოს იწონის. ჟურნალმა „კოსმოპოლიტენმა“ შარშან მსოფლიოს 25 ნანატრი სასიძოს სიაში შეიყვანა.

ბოლო, IV წრის წინ ლენარდი პარნევიკთან 5 დარტყმას აგებდა, მაგრამ ბოლო ცხრა ორმოსკენ ისე აგორა ბურთი, რომ XVI ორმოზე უკვე გაუსწრო. ამხელა ჩამორჩენის დაძლევა ბრიტანეთის მომავალმა ჩემპიონმა ბოლო ჯერზე 1925 წელს მოახერხა.

## გაქარცული იოკოძუნა

მორიგი ფალავნობა ქალაქ ნაგოიაში, აიჩის პრეფექტურის დარბაზში გაიმართა. ოსტატები ტრადიციისამებრ დღეში თითოჯერ ჰიდაობდნენ.

ბოლო დღეს 12 მოგებითა და ორი წაგებით უწიეს იოკოძუნებმა (დიდოსტატებმა) ტაკანოჰანამ და აკებონომ. 24 წლის ტაკანოჰანა იაპონელია და აქამდე 16-ჯერ მოეპოვებინა ფალავნობა, აკებონო კი ტომით ჰავაელია, სხვაფრივ ჩად როუვანი ქვია და 9-გზის ფალავანია.

წინა ტურნირში, მაისში რომ გაიმართა, აკებონომ ძლია ტაკანოჰანა. ამჯერად იაპონელმა სარტყელში მაგრად ჩაჭიდა ხელი ჰავაელს და ასპარეზის შუაგულში მცირე ხნის ძიძგილაობის შემდეგ მოგვერდით ძირს დაცა. გამარჯვებულს ჯილდოდ 10 მილიონი იენი ანუ 87 ათასი US$ ერგო.

შემდეგი ფალავნობა სექტემბერში გაიმართება. აკებონომ არა მარტო ფალავნის ჰონორარი დაკარგა, ბუდისტურ ტაძარში, სადაც ფულსა და სამკაულებს ინახავდა, ქურდებმაც ოთხი მილიონი იენით აზარალეს.



ჯანდიერის მისამართია
Qaflan@
HuzLiBab.edu.pk

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29